

ნო. 35 ზოგადი კომენტარი

მუხლი 9: თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება

I. ზოგადი შენიშვნები

1. წინამდებარე ზოგადი კომენტარი ცვლის 1982 წელს (მე-16 სესიაზე) მიღებულ ნო. 8 ზოგად კომენტარს.

2. მე-9 მუხლი მუხლი ცნობს და იცავს ადამიანის თავისუფლებას და ხელშეუხებლობას. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლი აცხადებს, რომ ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლება. ეს არის საყოველთაო დეკლარაციით დაცული პირველი მატერიალური შინაარსის უფლება, რაც მიუთითებს პაქტის მე-9 მუხლის ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე, როგორც ინდივიდებისათვის, ისე მთელი საზოგადოებისთვის. თავისუფლება და ხელშეუხებლობა თავისთავად ღირებულია; თუმცა ამას ემატება ისიც, რომ ისტორიულად ხელშეუხებლობისა და თავისუფლების ჩამორთმევა წარმოადგენდა სხვა უფლებებით სარგებლობის შეზღუდვის მთავარ გზას.

3. პირის თავისუფლება გულისხმობს თავისუფლებას ფიზიკური დაპატიმრებისგან (confinement of the body) და არა ზოგად, მოქმედების თავისუფლებას.¹ ადამიანის ხელშეუხებლობა გულისხმობს თავისუფლებას ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანებისგან, ანუ ფიზიკურ და სულიერ სიმრთელეს (integrity), რაც დამატებით განხილულია ქვემოთ, მე-9 პარაგრაფში. მე-9 მუხლი ამ უფლებით უზრუნველყოფს ყველა პირს. “ყველა” გულისხმობს, სხვათა შორის, გოგონებს და ბიჭებს, ჯარისკაცებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, ლესბოსელებს, გეი, ბისექსუალ და ტრანსგენდერ პირებს, უცხოელებს, ლტოლვილებს და თავშესაფრის მაძიებლებს, მოქალაქეობის არმქონე პირებს, მიგრანტ მშრომელებს, დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებს და პირებს, რომელთაც ტერორისტულ ქმედებებში მიიღეს მონაწილეობა.

4. მე-9 მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები ითვალისწინებენ კონკრეტულ გარანტიებს ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის დასაცავად. მე-9 მუხლის ზოგიერთი დებულება (მე-2 პუნქტის ნაწილი და მთელი მე-3 პუნქტი) მხოლოდ სისხლისსამართლებრივ ბრალდებას ეხება. თუმცა მუხლის დანარჩენი დებულებები, და განსაკუთრებით მე-4 პუნქტში მოცემული მნიშვნელოვანი გარანტია - სასამართლოს მიერ პატიმრობის

¹ 854/1999, ვაკენჰაიმი საფრანგეთის წინააღმდეგ (Wackenheim v. France), პარ. 6.3

კანონიერების შემოწმების უფლება, ვრცელდება ყველა თავისუფლებაზეზღუდულ პირზე.

5. თავისუფლების შეზღუდვა გულისხმობს მოძრაობის საშუალების უფრო მკაცრად შეზღუდვას უფრო მცირე სივრცეში, ვიდრე მე-12 მუხლით გათვალისწინებული გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში.² თავისუფლების შეზღუდვის მაგალითებია პოლიციის პატიმრობაში ყოფნა, “arraigo,”³ წინასასამართლო პატიმრობა, შინაპატიმრობა⁴, ადმინისტრაციული პატიმრობა, არანებაყოფლობითი ჰოსპიტალიზაცია⁵, ბავშვების მოთავსება დაწესებულებების მზრუნველობის ქვეშ, პატიმრობა აეროპორტში გამოყოფილ ჩაკეტილ სივრცეში;⁶ აქ ხვდება აგრეთვე არანებაყოფლობითი ტრანსპორტირება.⁷ თავისუფლების შეზღუდვა მოიცავს აგრეთვე დაპატიმრებული ადამიანისთვის დამატებით დაკისრებულ შეზღუდვებს, მაგალითად, სამართო საკანში მოთავსებას ან ფიზიკური შებორკვის საშუალებების გამოყენებას.⁸ სამხედრო სამსახურის განმავლობაში, შეზღუდვები, რომელიც სამოქალაქო პირის მიმართ ჩაითვლებოდა თავისუფლების შეზღუდვად, შეიძლება არ ჩაითვალოს თავისუფლების შეზღუდვად დაინტერესებული სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში, თუ ის არ აჭარბებს ნორმალურ სამხედრო სამსახურის მოთხოვნებს ან თუ არ უფლებელყოფს ნორმალურ სასიცოცხლო პირობებს.⁹

6. პირადი თავისუფლების შეზღუდვა გულისხმობს ნებაყოფლობითი თანხმობის არარსებობას. თუ ინდივიდი საკუთარი ნებით მიდის პოლიციის განყოფილებაში გამოძიებაში მონაწილეობის მისაღებად და თუ მან იცის, რომ თავისუფალია და ნებისმიერ დროს შეუძლია წავიდეს, მას თავისუფლება შეზღუდული არ აქვს.¹⁰

7. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ სათანადო ზომები რათა მესამე პირების მიერ შეზღუდვისგან დაიცვან პირის თავისუფლება.¹¹ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან ინდივიდები ცალკეული დამნაშავეების ან კანონსაწინააღმდეგო დაჯგუფებების, მათ შორის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედი შეიარაღებული და ტერორისტული დაჯგუფებების მიერ მოტაცების ან დაპატიმრებისგან. მათ აგრეთვე უნდა დაიცვან ინდივიდები უკანონო თავისუფლების

² 263/1987, გონსალეს დელ რიო პერუს წინააღმდეგ (González del Río v. Peru), პარ. 5.1; 833/1998, კარკერი საფრანგეთის წინააღმდეგ (Karker v. France), პარ. 8.5.

³ იხილეთ დასკვნითი შენიშვნები, მექსიკა 2010, პარ. 15.

⁴ 1134/2002, გორჯი-დინკა კამერუნის წინააღმდეგ, პარ. 5.4; იხ. აგრეთვე დასკვნითი შენიშვნები, გაერთიანებული სამეფო 2008, პარ. 17 (საკონტროლო ორდერები, 16 საათამდე კომენდანტის საათის ჩათვლით).

⁵ 754/1997, ა ახალი ზელანდიის წინააღმდეგ (A. v. New Zealand), პარ. 7.2 (ფსიქიკური ჯანმრთელობა); იხ. დასკვნითი შენიშვნები, მოლდოვა 2009, პარ. 13 (გადამდები დაავადებები).

⁶ იხ. დასკვნითი შენიშვნები, ბელგია 2004, პარ. 17 (მიგრანტების დაპატიმრება გამძევების გადაწყვეტილების მიღების პროცესში)

⁷ R.12/52, სალდაია დე ლოპესი ურუგვაის წინააღმდეგ (Saldías de López v. Uruguay), პარ. 13.

⁸ იხ. დასკვნითი შენიშვნები, ჩეხეთის რესპუბლიკა 2007, პარ. 13; კორეის რესპუბლიკა 2006, პარ. 13.

⁹ 265/1987, ვუოლანი ფინეთის წინააღმდეგ (Vuolanne v. Finland), პარ. 9.4.

¹⁰ 1758/2008, ჯესოპი ახალი ზელანდიის წინააღმდეგ, პარ. 7.9-7.10.

¹¹ იხ. დასკვნითი შენიშვნები, იემენი 2012, პარ. 24.

ადკვეთისგან კანონიერი ორგანიზაციების მიერ, როგორცაა დამსაქმებელი, სკოლა და საავადმყოფო. წევრმა სახელმწიფოებმა მაქსიმალურ ძალისხმევას უნდა მიმართონ, რათა დაიცვან ინდივიდები მათ ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოების ქმედებების შედეგად დაპატიმრებისგან.¹²

8. როცა წევრი სახელმწიფო უფლებამოსილებას ანიჭებს კერძო პირებს ან გაერთიანებებს დაკავების ან დაპატიმრების განსახორციელებლად, ისევ წევრ სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა უზრუნველყოს მე-9 მუხლის დაცვა. მან მძლავრად უნდა შეზღუდოს ამგვარი უფლებამოსილებები და უნდა განახორციელოს მკაცრი და ეფექტური კონტროლი იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ მოხდეს აღნიშნული უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენება და ადგილი არ ჰქონდეს თვითნებურ და უკანონო დაკავებებსა და დაპატიმრებებს. მან აგრეთვე უნდა უზრუნველყოს დაზარალებულები უფლების დაცვის ეფექტური საშუალებით თუ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება მაინც მოხდება.¹³

9. პირადი ხელშეუხებლობის უფლება იცავს პირს განზრახ ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დაზიანების მიყენებისგან, მიუხედავად იმისა მსხვერპლი დაკავებული იყო თუ არა. მაგალითად, წევრი სახელმწიფოების მოხელეები არღვევენ პირადი ხელშეუხებლობის უფლებას, როდესაც ისინი გაუმართლებლად აყენებენ პირს სხეულის დაზიანებას.¹⁴ პირადი ხელშეუხებლობის უფლება ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს მიიღონ სათანადო ზომები საჯარო სივრცეში ადამიანის მიმართ სასიკვდილო მუქარაზე რეაგირებისთვის და ზოგადად იმისთვის, რომ დაიცვან პირი იმ განჭვრეტადი საფრთხეებისგან, რაც ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს ან ფიზიკურ სიმრთელეს და რომელიც მომდინარეობს სახელმწიფო ან კერძო პირებისგან.¹⁵ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ როგორც მომავალზე ორიენტირებული ღონისძიებები სამომავლო დაზიანებების აღსაკვეთად, ასევე რეტროსპექტიული ღონისძიებები, როგორცაა სისხლის სამართლის აღსრულება ჩადენილ დაზიანებაზე რეაგირებისთვის. მაგალითად, წევრმა სახელმწიფოებმა სათანადო პასუხი უნდა გასცენ დაზარალებულთა გარკვეული კატეგორიების მიმართ არსებულ ძალადობის დამკვიდრებულ ფორმებს, როგორცაა ადამიანის უფლებათა დამცველებისა და ჟურნალისტების დაშინება, შურისძიება მოწმეებზე, ძალადობა ქალების მიმართ, მათ შორის ოჯახური ძალადობა, ახალწვეულების დამცირება შეიარაღებულ ძალებში, ძალადობა ბავშვების წინააღმდეგ, ძალადობა სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო,¹⁶ და ძალადობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

¹² 319/1988, კანონ გარსია ეკვადორის წინააღმდეგ, პარ. 5.1-5.2.

¹³ იხ. დასკვნითი შენიშვნები, გვატემალა 2012, პარ. 16.

¹⁴ 613/1995, ლიჰონგი იამაკის წინააღმდეგ (Leehong v. Jamaica), პარ. 9.3.

¹⁵ 1560/2007, მარსელანა და გუმანოი ფილიპინების წინააღმდეგ (Marcellana and Gumanoy v. Philippines), პარ. 7.7.; წევრი სახელმწიფოები მაშინაც არღვევენ ადამიანის პირადი ხელშეუხებლობის უფლებას, როდესაც ცდილობენ საკუთარი იურისდიქციის გავრცელებას მათი ტერიტორიის გარეთ მყოფ პირზე ფატვას (*fatwa*) ან მსგავსი სასიკვდილო განაჩენის გამოტანით, რომელიც მსხვერპლის მოკვლის უფლებას იძლევა. იხ. დასკვნითი შენიშვნები ირანის ისლამური რესპუბლიკა 1993, პარ. 9; ქვემოთ პარაგრაფი 63 (ექსტრატერიტორიულ გავრცელებასთან დაკავშირებით).

¹⁶ იხ. დასკვნითი შენიშვნები, სალვადორი 2003, პარ. 16.

პირების მიმართ.¹⁷ მათ აგრეთვე უნდა აღკვეთონ და გამოასწორონ ძალის გაუმართლებელი გამოყენების შემთხვევები სამართალდამცავი ფუნქციის შესრულების პროცესში,¹⁸ დაიცვან მოსახლეობა კერძო უსაფრთხოების სამსახურების მხრიდან ხელყოფისგან და იმ რისკებისგან, რაც ახლავს ცეცხლსასროლი იარაღის გადაჭარბებულ ხელმისაწვდომობას.¹⁹ პირადი ხელშეუხებლობის უფლება არ მოიცავს ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართ არსებულ ყველა რისკს. ის არ მოიცავს აგრეთვე არაპირდაპირ გავლენას ჯანმრთელობაზე, რასაც სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი პროცესი ახდენს მასში ჩართულ პირებზე.²⁰

II. თვითნებური და უკანონო დაპატიმრება

10. პირის თავისუფლების უფლება არ არის აბსოლუტური. მე-9 მუხლი აღიარებს, რომ ზოგჯერ თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულია, მაგალითად სისხლის სამართლის კანონმდებლობის აღსრულებისას. პირველი პუნქტი მოითხოვს, რომ თავისუფლების შეზღუდვას არ ჰქონდეს თვითნებური ხასიათი და რომ, ის განხორციელდეს სამართლის უზენაესობის მოთხოვნათა დაცვით.

11. პირველი პუნქტის მე-2 წინადადება კრძალავს თვითნებურ დაკავებას და დაპატიმრებას, მესამე წინადადება კი კრძალავს თავისუფლების უკანონო შეზღუდვას, ე.ი. თავისუფლების იმგვარ შეზღუდვას, რომელიც არ ხორციელდება კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით და პროცედურების დაცვით. ეს ორი აკრძალავს ერთმანეთს ნაწილობრივ გადაკვეთავს იმ თვალსაზრისით, რომ დაკავება ან დაპატიმრება შეიძლება არღვევდეს შესაბამის კანონმდებლობას, მაგრამ არ იყოს თვითნებური, ან შეიძლება კანონით დაშვებული, მაგრამ თვითნებური იყოს; ან შეიძლება ორივე იყოს - როგორც თვითნებური, ისე უკანონო. დაკავება ან დაპატიმრება რომელიც ხორციელდება ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე თვითნებურიცაა.²¹ პატიმრების უკანონოდ დატოვება პატიმრობაში მათი სასჯელის ვადის ამოწურვის შემდეგ თვითნებურია, ისევე როგორც უკანონო;²² იგივე ეხება პატიმრობის სხვა ფორმების უკანონოდ გახანგრძლივებასაც. გათავისუფლების შესახებ სასამართლოს ბრძანების მიუხედავად პატიმრობაში მყოფი პირის პატიმრობის გაგრძელება თვითნებურიცაა და უკანონოც.²³

12. დაკავება ან დაპატიმრება შეიძლება დაშვებული იყოს შიდა კანონმდებლობით, მაგრამ მაინც ჩაითვალოს თვითნებურად. “თვითნებობის” ცნება არ უნდა გავაიგივოთ “უკანონოსთან”. “თვითნებობა” უნდა განიმარტოს უფრო ფართოდ, ისე რომ მოიცვას უწყესობის, უსამართლობის, განჭვრეტადობისა და პროცედურული

¹⁷ იხ. დასკვნითი შენიშვნები, ნორვეგია 2011, პარ. 10.

¹⁸ 613/1995, ლიჰონგი იამაკის წინააღმდეგ (Leehong v. Jamaica), პარ. 9.3; იხ. ძირითადი პრინციპები სამართალდამცავი პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ (1990).

¹⁹ იხ. დასკვნითი შენიშვნები, ფილიპინები 2012, პარ. 14.

²⁰ 1124/2002, ობოძინსკი კანადის წინააღმდეგ (Obodzinsky v. Canada), პარ. 8.5.

²¹ 414/1990, მიკა მიჰა ეკვატორული გვინეის წინააღმდეგ (Mika Miha v. Equatorial Guinea), პარ. 6.5.

²² იხ. დასკვნითი შენიშვნები ბრაზილია 2005, პარ. 16.

²³ 856/1999, ჩამბალა ზამბიის წინააღმდეგ (Chambala v. Zambia), პარ. 7.3.

სამართლიანობის ხარვეზების ელემენტები,²⁴ ისევე როგორც გონიერების, პროპორციულობის და აუცილებლობის ელემენტები. მაგალითად წინასწარი პატიმრობა სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველზე ყველა შემთხვევაში გონივრული და აუცილებელი უნდა იყოს.²⁵ სასამართლოს მიერ დაკისრებული სასჯელის ვადით პატიმრობა გამონაკლისია - პირის ნებისმიერი სხვა ფორმის პატიმრობაში დატოვება თვითნებურია, თუ პატიმრობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება პერიოდულად არ ექვემდებარება მისი გამართლებულობის ხელახალ შეფასებას.²⁶

13. ტერმინი “დაკავება” აღნიშნავს პირის შეპყრობას ნებისმიერი ფორმით, რითაც იწყება თავისუფლების შეზღუდვა, ტერმინი “პატიმრობა” კი აღნიშნავს თავისუფლების შეზღუდვას, რომელიც იწყება დაკავებით და მოიცავს პერიოდს დაკავებიდან გათავისუფლებამდე.²⁷ მე-9 მუხლის მიზნებისთვის დაკავება არ გულისხმობს მხოლოდ ოფიციალურ დაკავებას, როგორც მას განსაზღვრავს შიდა სამართალი.²⁸ როდესაც უკვე პატიმრობაში მყოფ პირს დამატებით ეზღუდება თავისუფლება, მაგალითად სხვა სისხლის სამართლებრივი ბრალდების გამო ეკისრება პატიმრობა, თავისუფლების ახალი შეზღუდვის დაწყება ასევე დაკავებას წარმოადგენს.²⁹

14. პაქტი არ ითვალისწინებს პიროვნების თავისუფლების შეზღუდვისთვის დასაშვებ საფუძვლების ჩამონათვალს. მე-9 მუხლი ხაზგასმით აღიარებს, რომ ინდივიდების დაკავება დასაშვებია სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველზე და მე-11 მუხლი პირდაპირ კრძალავს დაპატიმრებას პირის მიერ სახელმწიფოებო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.³⁰ თავისუფლების შეზღუდვის სხვა ფორმები ასევე კანონით უნდა იყოს დადგენილი და იმგვარი პროცედურების მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს, რაც ალკვეთს თვითნებურ დაპატიმრებას. კანონით დადგენილი საფუძვლები და პროცედურები ძირგამომთხრელი არ უნდა იყოს ადამიანის თავისუფლების უფლებისა.³¹ თავისუფლების შეზღუდვის რეჟიმი, რომელიც ადგენს სისხლისსამართლებრივი სასჯელის ექვივალენტს შესაბამისი დაცვის გარანტიების გარეშე, თავს არიდებს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულებისთვის დადგენილ

²⁴ 1134/2002, გორჯი-დინკა კამერუნის წინააღმდეგ (Gorji-Dinka v. Cameroon), პარ. 5.1; 305/1988, ვან ალფენი ნიდერლანდების წინააღმდეგ, პარ. 5.8.

²⁵ 1369/2005, კულოვი ყირგიზეთის წინააღმდეგ (Kulov v. Kyrgyzstan), პარ. 8.3. სისხლის სამართლის საქმეებში წინასასამართლო პატიმრობა დამატებით განხილულია ქვემოთ, მე-4 ნაწილში.

²⁶ იხ. მაგ., 1324/2004, შაფიკი ავსტრალიის წინააღმდეგ (Shafiq v. Australia), პარ. 7.2.

²⁷ იხ. 631/1995, სპაკმო ნორვეგიის წინააღმდეგ (Spakmo v. Norway), პარ. 6.3.

²⁸ 1460/2006, იკლიმოვა თურქმენეთის წინააღმდეგ (Yklymova v. Turkmenistan), პარ. 7.2-7.3 (de facto შინაპატიმრობა); 1096/2002, კურბანოვა ტაჯიკეთის წინააღმდეგ (Kurbanova v. Tajikistan), პარ. 7.2 (დაპატიმრება დაკავების ორდერის მიღებამდე).

²⁹ 635/1998, მორისონი იამაიკის წინააღმდეგ (Morrison v. Jamaica), პარ. 22.2-22.3; 1397/2005, ენგო კამერუნის წინააღმდეგ (Engo v. Cameroon), პარ. 7.3.

³⁰ დაკავება სისხლისსამართლებრივი დანაშაულების გამო, როგორცაა თაღლითობა, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს სამოქალაქოსამართლებრივ ვალს არ არღვევს მე-11 მუხლს და არ წარმოადგენს თვითნებურ დაკავებას. 1342/2005, გავრილინი ბელარუსის წინააღმდეგ (Gavrilin v. Belarus), პარ. 7.3

³¹ 1629/2007, ფარდონი ავსტრალიის წინააღმდეგ (Fardon v. Australia), პარ. 7.3.

შეზღუდვებს, რაც დაუშვებელია.³² მართალია პატიმრობის პირობები ძირითადად განხილულია მე-7 და მე-10 მუხლებში, დაპატიმრება შეიძლება იყოს თვითნებური, თუ პატიმრებს ექცევიან იმგვარად, რაც არ ემსახურება მათი პატიმრობის გაცხადებულ მიზანს.³³ სასამართლოს უპატივცემულობის გამო თავისუფლების აღკვეთის დრაკონული სასჯელის დაკისრება სათანადო განმარტებებისა და დამოუკიდებელი პროცედურული გარანტიების გარეშე გარეშე არის თვითნებობა.³⁴

15. რამდენადაც წევრი სახელმწიფოები იყენებენ პატიმრობას უშიშროების მიზნებისთვის (ხანდახან ამას უწოდებენ ადმინისტრაციულ პატიმრობას ან ინტერნირებას), რაც არ არის დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების გამო მოსალოდნელი დევნის განხორციელებასთან,³⁵ კომიტეტი მიიჩნევს, რომ ამგვარი პატიმრობა ქმნის თავისუფლების თვითნებური შეზღუდვის მძიმე საფრთხეს.³⁶ ამგვარი დაკავება ჩვეულებრივ ჩაითვლება თვითნებურ დაკავებად, რადგან საფრთხეზე რეაგირებისთვის არსებობს სხვა ეფექტური საშუალებები, მათ შორის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა. ყველაზე გამონაკლისურ გარემოებებში, თუ მიუთითებენ არსებულ, უშუალო და იმპერატიულ საფრთხეზე იმ პირების დაპატიმრების გასამართლებად, რომლებიც ითვლება, რომ ქმნიან ამგვარ საფრთხეს, წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ მტკიცების ტვირთი, რომ ინდივიდი ქმნიდა ამგვარ საფრთხეს და პრობლემის მოგვარება შეუძლებელი იყო ალტერნატიული საშუალებებით; აღნიშნული მტკიცების ტვირთი იზრდება პატიმრობის ხანგრძლივობასთან ერთად. წევრმა სახელმწიფოებმა აგრეთვე უნდა დაამტკიცონ, რომ პატიმრობა არ გაგრძელდებულა იმაზე მეტ ხანს, რაც აბსოლუტურად აუცილებელი იყო, რომ შესაძლო პატიმრობის მაქსიმალური დასაშვები ხანგრძლივობა განსაზღვრულია და რომ ისინი სრულად იცავენ მე-9 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიებს ყველა შემთხვევაში. დაუყოვნებელი და რეგულარული კონტროლი სასამართლოს ან სხვა ტრიბუნალის მიერ, რომელიც აკმაყოფილებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის იმავე მოთხოვნებს, რასაც სასამართლო ხელისუფლება აუცილებელი დამცავი მექანიზმია ამგვარ სიტუაციაში. ასევეა დამოუკიდებელი სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობა, რომელსაც საუკეთესო შემთხვევაში პატიმარი თავად ირჩევს, და პატიმრისთვის, სულ მცირე, იმ

³² იხ. იქვე, პარ. 7.4(ა) – 7.4(გ); იხ. დასკვნით შენიშვნები, ამერიკის შეერთებული შტატები 2006, პარ. 19; ზოგადი კომენტარი 32, პარ. 15, 18

³³ 1629/2007, ფარდონი ავსტრალიის წინააღმდეგ (Fardon v. Australia), პარ. 7.4(ა) (ფორმალურად სამოქალაქო პატიმრობა იმავე ციხის რეჟიმში, სადაც წინა სასჯელი მოხდა პირმა); იხ. დასკვნით შენიშვნები, ბელგია 2004, პარ. 18 (ციხის ფსიქიატრიულ განყოფილებაში მოთავსება); გაერთიანებული სამეფო 2001, პარ. 16 (თავშესაფრის მამიებლების ციხეში მოთავსება).

³⁴ 1189/2003, ფერნანდო შრი ლანკას წინააღმდეგ (Fernando v. Sri Lanka), პარ. 9.2; 1373/2005, დისანაკიე შრი ლანკის წინააღმდეგ (Dissanakye v. Sri Lanka), პარ. 8.3.

³⁵ ეს პარაგრაფი ეხება უშიშროების მიზნებისთვის დაკავებას და არა მსჯავრდების შემდგომ პრევენციულ პატიმრობას, რაც განხილული იქნება ქვემოთ, 21-ე პარაგრაფში, ან პატიმრობას ექსტრადიციის ან საიმეორაციო კონტროლის მიზნებისთვის, რაც განხილულია ქვემოთ მე-18 პარაგრაფში.

³⁶ იხ. მაგ. დასკვნითი შენიშვნები, კოლუმბია 2010, პარ. 20; იორდანია 2010, პარ. 11.

მტკიცებულებების შინაარსის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომლის საფუძველზეც იქნა გადაწყვეტილება მიღებული.³⁷

16. თვითნებური დაპატიმრების უმძიმეს მაგალითებს წარმოადგენს სავარაუდო დამნაშავეს ოჯახის წევრების დაკავება, რომელთაც არ ეძებათ ბრალი რაიმე სამართალდარღვევაში, მძევლების აყვანა, დაკავება ქრთამის გამოძალგის ან სხვა მსგავსი დანაშაულებრივი მიზნებისთვის.

17. დაკავება ან დაპატიმრება, როგორც სასჯელი პაქტით გარანტირებული უფლებებით ლეგიტიმურად სარგებლობისთვის თვითნებობაა; ეს ეხება აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას (მუხლი 19),³⁸ შეკრების თავისუფლებას (მუხლი 21), გაერთიანების თავისუფლებას (მუხლი 22), რელიგიის თავისუფლებას (მუხლი 18) და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას (მუხლი 17). პრინციპულად თვითნებურია აგრეთვე დაკავება ან დაპატიმრება დისკრიმინაციული საფუძველით, რაც არღვევს პაქტის მე-2 მუხლის პირველ პუნქტს, მე-3 მუხლს ან 26-ე მუხლს.³⁹ თავისუფლების აღკვეთის, როგორც სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაკისრება უკუძალით, რაც არღვევს პაქტის მე-15 მუხლს წარმოადგენს თვითნებურ პატიმრობას.⁴⁰ იძულებითი გაუჩინარებები არღვევს პაქტის მთელ რიგ მატერიალურ და პროცესუალურ დებულებებს და წარმოადგენს თვითნებური პატიმრობის განსაკუთრებით მძიმე ფორმას. თავისუფლების აღკვეთა აშკარად უსამართლო სასამართლო პროცესის შედეგად თვითნებურია, თუმცადა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული პირების მე-14 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი პროცესუალური გარანტიის დარღვევა არ აქცევს პატიმრობას თვითნებურად.⁴¹

18. დაპატიმრება საიმეორაციო კონტროლთან დაკავშირებული პროცესის განმავლობაში არ არის *per se* თვითნებური, მაგრამ პატიმრობა გამართლებული უნდა იყოს, როგორც გონივრული, აუცილებელი და პორპორციული არსებული გარემოებების გათვალისწინებით, და დროში გაგრძელებასთან ერთად უნდა მოხდეს იმის გადასინჯვა.⁴² თავშესაფრის მამიებლები, რომლებიც კანონის დარღვევით შედიან ქვეყნის ტერიტორიაზე, შეიძლება დაპატიმრებულნი იქნენ საწყის ეტაპზე მოკლე ვადით, რათა მოხდეს მათი ქვეყანაში შესვლის დოკუმენტირება, მათი

³⁷ მე-9 მუხლის მიმართებასთან დაკავშირებით პაქტის მე-4 მუხლთან და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან, იხილეთ პარაგრაფები 64 და 67, ქვემოთ.

³⁸ 328/1988, ზელაია ბლანკო ნიკარაგუას წინააღმდეგ (*Zelaya Blanco v. Nicaragua*), პარ. 10.3.

³⁹ 1314/2004, ო'ნილი და კვინი ირლანდიის წინააღმდეგ (*O'Neill and Quinn v. Ireland*), პარ. 8.5 (არ დადგინდა დარღვევა); იხ. დასკვნითი შენიშვნები ჰონდურასი 2006, პარ. 13 (პატიმრობა სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე); კამერუნი 2010, პარ. 12 (თავისუფლების აღკვეთა ერთი სქესის ზრდასრულ პირებს შორის ნებაყოფლობითი სექსუალური აქტივობის გამო).

⁴⁰ 1629/2007, ფარდონი ავსტრალიის წინააღმდეგ (*Fardon v. Australia*), პარ. 7.4(ბ).

⁴¹ იხ1007/2001, სინიერო ფერნანდეზი ესპანეთის წინააღმდეგ (*Sineiro Fernández v. Spain*), პარ. 6.3 (ზემდგომ სასამართლოში მსჯავრდების გასაჩივრების შეუძლებლობა წარმოადგენდა მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევას, მაგრამ არა მე-9 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას).

⁴² 560/1993, ა ავსტრალიის წინააღმდეგ (*A. v. Australia*), პარ. 9.3-9.4; 794/1998, ჯალოვი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Jalloh v. Netherlands*), პარ. 8.2; 1557/2007, ნაისტრომი ავსტრალიის წინააღმდეგ (*Nystrom v. Australia*), პარ. 7.2-7.3.

მოთხოვნების აღწერა და განისაზღვროს მათი ვინაობა, თუ საექვოა.⁴³ მათი უფრო ხანგრძლივი ვადით დაპატიმრება, მათ მოთხოვნებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე, თვითნებური იქნებოდა, თუ კონკრეტულ ინდივიდთან დაკავშირებული განსაკუთრებული მიზეზები არ არსებობს, როგორცაა პირის გაქცევის ინდივიდუალიზებული ალბათობა, სხვა პირთა მიმართ დანაშაულების ჩადენის საფრთხე ან ქვეყნის ეროვნული უშიშროების წინააღმდეგ ქმედებების ჩადენის რისკი.⁴⁴ გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს რელევანტური ფაქტორების შეფასებას ყოველ კონკრეტულ საქმეში, და არ უნდა ეფუძნებოდეს ფართო კატეგორიის მიმართ მოქმედ სავალდებულო წესს; გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს ნაკლებად აგრესიულ საშუალებებს იმავე მიზნების მისაღწევად, როგორცაა პერიოდულად გამოცხადების ვალდებულება, თავდებობა, ან სხვა პირობები გაქცევის აღსაკვეთად; და უნდა ექვემდებარებოდეს პერიოდულ გადასინჯვას ან სასამართლო კონტროლს.⁴⁵ მიგრანტების დაპატიმრებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უნდა ითვალისწინებდეს პატიმრობის გავლენას მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.⁴⁶ აუცილებელი დაპატიმრება უნდა განხორციელდეს სათანადო, სანიტარულ და არა-დამსჯელობით დაწესებულებაში - არ უნდა მოხდეს პირის მოთავსება ციხეში. ის, რომ წევრი სახელმწიფო ვერ გაამეცებს პირს ქვეყნიდან, იმის გამო, რომ ის მოქალაქეობის არმქონე პირია ან სხვა დაბრკოლების გამო, არ ამართლებს განუსაზღვრელი ვადით დაპატიმრებას.⁴⁷ ბავშვების თავისუფლების შეზღუდვა დაუშვებია გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოიყენება როგორც უკიდურესი ღონისძიება. ამ შემთხვევაშიც თავისუფლების შეზღუდვა უნდა მოხდეს რაც შეიძლება მოკლე ვადით, პირველ რიგში მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დაპატიმრების ხანგრძლივობასთან და პირობებთან დაკავშირებით; აგრეთვე უნდა იქნეს გათვალისწინებული უკიდურესი მოწყვლადობა და ზრუნვის საჭიროება იმ არასრულწლოვან პირებზე, რომლებიც სრულწლოვანი თანხმხლები პირის გარეშე იმყოფებიან.⁴⁸

19. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადასინჯონ თავიანთი დრომოქმული კანონმდებლობა და პრაქტიკა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, რათა თავიდან იქნეს აცილებული თვითნებური პატიმრობა. კომიტეტი ხაზსგასმით მიუთითებს იმ ზიანზე, რაც თავისთავად გამომდინარეობს

⁴³ 1069/2002, ბახტიარი ავსტრალიის წინააღმდეგ (Bakhtiyari v. Australia), პარ. 9.2, 9.3.

⁴⁴ 1551/2007, თარლიუ კანადის წინააღმდეგ (Tarlue v. Canada), პარ. 3.3, 7.6; 1051/2002, აჰანი კანადის წინააღმდეგ (Ahani v. Canada), პარ. 10.2.

⁴⁵ 1014/2001, ბაბანი ავსტრალიის წინააღმდეგ (Baban v. Australia), პარ. 7.2; 1069/2002, ბახტიარი ავსტრალიის წინააღმდეგ (Bakhtiyari v. Australia), პარ. 9.2, 9.3; იხ. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სახელმძღვანელო რეკომენდაციები თავშესაფრის მამიებელი პირების დაპატიმრების მიმართ მოქმედი კრიტერიუმებისა და სტანდარტების შესახებ და პატიმრობის ალტერნატივები (2012), სახელმძღვანელო რეკომენდაცია 4.3. და დანართი ა (სადაც აღწერილია დაპატიმრების ალტერნატივები).

⁴⁶ 1324/2004, შაფიკი ავსტრალიის წინააღმდეგ (Shafiq v. Australia), პარ. 7.3; 900/1999, ს ავსტრალიის წინააღმდეგ (C. v. Australia), პარ. 8.2, 8.4.

⁴⁷ 2094/2011, ფ.კ.ა.გ. ავსტრალიის წინააღმდეგ (F.K.A.G. v. Australia), პარ. 9.3

⁴⁸ 1050/2002, დ და ე ავსტრალიის წინააღმდეგ (D. & E. v. Australia), პარ. 7.2; 794/1998, ჯალოჰი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Jalloh v. Netherlands), პარ. 8.2-8.3; იხილეთ აგრეთვე კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლები 3(1), 37(ბ).

თავისუფლების შეზღუდვიდან და აგრეთვე იმ კონკრეტულ ზიანზე რაც შეიძლება მოყვეს არანებაყოფლობით საავამდყოფოში მოთავსების შემთხვევებს. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თემზე-დაფუძნებული ან ალტერნატიული სოციალური დაცვის მომსახურებები ფსიქოსოციალური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირების, რათა უზრუნველყონ პატიმრობასთან შედარებით ნაკლებად მზღუდავი ალტერნატივების არსებობა.⁴⁹ თავისთავად შეზღუდული შესაძლებლობის არსებობა არ შეიძლება წარმოადგენდეს თავისუფლების შეზღუდვის გამართლებას; თავისუფლების შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი შესაბამისი ინდივიდის მძიმე ზიანისგან დასაცავად ან სხვა პირებისთვის ზიანის მიყენების აღსაკვეთად და პროპორციული ამ მიზნისა.⁵⁰ ის გამოყენებული უნდა იქნეს როგორ უკიდურესი საშუალება და უმოკლესი ვადით, და მისი გამოყენება უნდა ხდებოდეს ადექვატური პროცესუალური და მატერიალური დამცავი მექანიზმების არსებობის პირობებში, რაც კანონით იქნება დადგენილი.⁵¹ პროცედურები იმგვარი უნდა იყოს, რომ გამოხატავდეს პატივისცემას ინდივიდის შეხედულებებისადმი და უნდა უზრუნველყოფდეს, რომ წარმომადგენელი ნამდვილად წარმოადგენდეს და იცავდეს ინდივიდის სურვილებსა და ინტერესებს.⁵² წევრი სახელმწიფოები უნდა სთავაზობდნენ ინდივიდებს სამკურნალო და სარეაბილიტაციო პროგრამებს იმ მიზნების მისაღწევად, რომლებსაც ასახელებენ დაპატიმრების გასამართლებლად.⁵³ თავისუფლების შეზღუდვა უნდა ექვემდებარებოდეს ხელახალ შეფასებას დროის სათანადო ინტერვალებში მისი განგრძობადი საჭიროების შესამოწმებლად.⁵⁴ ინდივიდს უნდა გაუწიონ დახმარება, რათა ხელი მიუწვდებოდეს თავისი უფლებების აღდგენის ეფექტური დაცვის საშუალებაზე, მათ შორის მისი დაპატიმრების კანონიერების საწყის და პერიოდულ სასამართლო კონტროლზე და პაქტთან შეუთავსებელი პატიმრობის პირობების აღკვეთაზე.⁵⁵

20. პაქტისთვის მისაღებია სისხლისსამართლებრივი სასჯელის განსაზღვრის სხვადასხვა სქემები. მსჯავრდებულ პატიმრებს უფლება აქვთ, რომ მათი სასჯელის აღსრულება მოხდეს შიდა სამართლის მოთხოვნათა დაცვით. განაცხადის განხილვა პირობით გათავისუფლების ან ვადაზე ადრე გათავისუფლების სხვა ფორმებთან დაკავშირებით უნდა ხდებოდეს კანონის შესაბამისად,⁵⁶ და გათავისუფლების ამ ფორმებზე პირს არ უნდა ეთქვას უარი იმგვარი საფუძვლით, რაც თვითნებურად

⁴⁹ იხილეთ დასკვნითი შენიშვნები ლატვია 2014, პარ. 16.

⁵⁰ 1062/2002, ფიალკოვსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Fijalkowska v. Poland), პარ. 8.3; 1629/2007, ფარდონი ავსტრალიის წინააღმდეგ (Fardon v. Australia), პარ. 7.3; იხ. დასკვნითი შენიშვნები რუსეთის ფედერაცია 2009, პარ. 19; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენცია, მუხლი 14(1)(ბ).

⁵¹ 1062/2002, ფიალკოვსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Fijalkowska v. Poland), პარ. 8.3.

⁵² იხ. დასკვნითი შენიშვნები ჩეხეთის რესპუბლიკა 2007, პარ. 14; იხილეთ აგრეთვე ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი ნო. 9, პარ. 48.

⁵³ იხილეთ დასკვნითი შენიშვნები ბულგარეთი 2011 პარ.10.

⁵⁴ 754/1997, ა ახალი ზელანდიის წინააღმდეგ (A. v. New Zealand), პარ. 7.2; იხილეთ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი ნო. 9, პარ. 50

⁵⁵ 1062/2002, ფიალკოვსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Fijalkowska v. Poland), პარ. 8.38.4; 754/1997, ა ახალი ზელანდიის წინააღმდეგ (A. v. New Zealand), პარ. 7.3; ზოგადი კომენტარი 31, პარ. 15.

⁵⁶ 1388/2005, დე ლეონ კასტრო ესპანეთის წინააღმდეგ (De León Castro v. Spain), პარ. 9.3.

ჩათვლება მე-9 მუხლის მიზნებისთვის. თუ გათავისუფლება ხდება გარკვეული პირობებით, და მოგვიანებით პირობების დარღვევის მიზეზით გათავისუფლება უქმდება, საჭიროა, რომ გაუქმება მოხდეს კანონის შესაბამისად, არ იყოს თვითნებური და განსაკუთრებით არ იყოს არათანაზომიერი ჩადენილი დარღვევის სიმძიმისა. პროგნოზი პატიმრის სამომავლო ქცევასთან დაკავშირებით შეიძლება იყოს რელევანტური ფაქტორი, იმის გადაწყვეტისას უნდა მოხდეს თუ არა პირის ვადამდე გათავისუფლება.⁵⁷

21. როდესაც სისხლისსამართლებრივი სასჯელი შედგება დამსჯელობითი პერიოდისგან და მის შემდეგ, არადამსჯელობითი პერიოდისგან სხვა ინდივიდების უსაფრთხოების დასაცავად,⁵⁸ თავისუფლების აღკვეთის დამსჯელობითი ვადის მოხდისთანავე, თვითნებობის თავიდან ასაცილებლად დამატებითი პატიმრობა გამართლებული უნდა იქნეს უკიდურესი გარემოებებით, რომლებიც უკავშირდება ჩადენილი დანაშაულების სიმძიმეს და ალბათობას, რომ მსგავსი დანაშაულები სამომავლოდაც იქნება ჩადენილი. სახელმწიფოებმა ასეთი პატიმრობა უნდა გამოიყენონ, როგორც უკიდურესი საშუალება და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი რეგულარული, პერიოდული გადასინჯვა დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, იმის გადასაწყვეტად რამდენად გამართლებულია პატიმრობის გაგრძელება.⁵⁹ წევრმა სახელმწიფოებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ და სათანადო გარანტიები გაითვალისწინონ სამომავლო საფრთხეების შეფასებისას.⁶⁰ ამგვარი პატიმრობის პირობები უნდა განსხვავდებოდეს მსჯავრდებული პატიმრების მიერ დამსჯელობითი სასჯელის მოხდის პირობებისგან და მიმართული უნდა იყოს პატიმრის რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისაკენ.⁶¹ თუ პატიმარმა სრულად მოიხადა მსჯავრდებისას დაკისრებული სასჯელი, მე-9 და მე-15 მუხლები კრძალავს სასჯელის უკუძალით გაზრდას და წევრი სახელმწიფო გვერდს ვერ აუვლის ამ აკრძალვას პატიმრობის დაკისრებით რომელიც, სისხლისსამართლებრივი თავისუფლების აღკვეთის ექვივალენტურია, მაგრამ სამოქალაქო პატიმრობა ეწოდება.⁶²

22. პირველი პუნქტის მე-3 წინადადება ადგენს, რომ არავის უნდა აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლისა და პროცედურისა. დაკავებისა და დაპატიმრების მატერიალური საფუძვლები კანონმა უნდა დაადგინოს და განსაზღვროს საკმარისი სიზუსტით, რათა თავიდან იქნეს არიდებული ზედმეტად ფართო ან თვითნებური ინტერპრეტაცია ან შეფარდება.⁶³ თავისუფლების

⁵⁷ 1492/2006, ვან დერ პლაატ ახალი ზელანდიის წინააღმდეგ (Van der Plaatt v. New Zealand), პარ. 6.3.

⁵⁸ სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში ამ პატიმრობას უწოდებენ “rétenion de sûreté,” ან “Sicherungsverwahrung,” ან ინგლისურად, “პრევენციულ პატიმრობას” (“preventive detention”), იხ. 1090/2002, რამეკა ახალი ზელანდიის წინააღმდეგ (Rameka v. New Zealand).

⁵⁹ იქვე, პარ. 7.3.

⁶⁰ იხ. დასკვნითი შენიშვნები გერმანია 2012, პარ. 14.

⁶¹ 1512/2006, დინი ახალი ზელანდიის წინააღმდეგ (Dean v. New Zealand), პარ. 7.5.

⁶² 1629/2007, ფარდონი ავსტრალიის წინააღმდეგ (Fardon v. Australia), პარ. 7.4.

⁶³ იხ. მაგ. დასკვნითი შენიშვნები ფილიპინები 2003, პარ. 14 (მაწანწალოზის შესახებ კანონის ბუნდოვანება), მავრიტანია 2005, პარ. 12 (ტერორიზმის შესახებ კანონი),

შეზღუდვა, რომელიც მოკლებულია ამგვარ სამართლებრივ საფუძველს უკანონოა.⁶⁴ განგრძობადი პატიმრობა მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ძალაში შესული სასამართლო ბრძანება (*exécutoire*) გათავისუფლების შესახებ ან ძალაში შესული ამნისტია, უკანონოა.⁶⁵

23. მე-9 მუხლი მოითხოვს, რომ სამართლებრივ საფუძველზე თავისუფლების შეზღუდვის პროცედურებიც კანონით უნდა იყოს დადგენილი და წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სამართლებრივი პროცედურების დაცვა. მე-9 მუხლი დამატებით მოითხოვს იმ შიდასამართლებრივი წესების დაცვას, რომლებიც განსაზღვრავენ დაკავების პროცედურას და განსაზღვრავენ იმ პირს, ვინც უფლებამოსილია განახორციელოს დაკავება,⁶⁶ ან აზუსტებენ, როდის არის ნებართვა საჭირო დაკავებისთვის.⁶⁷ ის აგრეთვე მოითხოვს იმ შიდასამართლებრივი წესების შესრულებას, რომლებიც განსაზღვრავენ დაპატიმრებისთვის როდის უნდა იქნეს მიღებული ნებართვა მოსამართლის ან სხვა თანამდებობის პირისგან,⁶⁸ როდის შეიძლება ინდივიდის დაპატიმრება,⁶⁹ როდის უნდა წარედგინოს დაპატიმრებული პირი სასამართლოს,⁷⁰ და რა არის პატიმრობის მაქსიმალური ხანგრძლივობა.⁷¹ ის აგრეთვე მოითხოვს იმ შიდასამართლებრივი წესების შესრულებას, რომლებიც მნიშვნელოვან დამცავ მექანიზმებს ითვალისწინებენ დაპატიმრებული პირებისთვის, როგორცაა დაკავების აღრიცხვა,⁷² და ადვოკატის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.⁷³ შიდასამართლებრივი პროცესუალური წესების დარღვევა, რომელიც არ უკავშირდება ამ საკითხებს, ყველა შემთხვევაში არ წარმოქმნის პრობლემას მე-9 მუხლთან მიმართებით.⁷⁴

III. ინფორმირება დაკავების მიზეზებისა და ნებისმიერი ბრალდების შესახებ

24. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ორ მოთხოვნას ადგენს თავისუფლებაშეზღუდული პირების სასარგებლოდ. პირველ რიგში, დაკავებისას მათ უნდა აუხსნან დაკავების მიზეზები. მეორე, მათ დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ინფორმაცია მათთვის წარდგენილი ყველა ბრალდების შესახებ. პირველი მოთხოვნა ფართოა და ვრცელდება

რუსეთის ფედერაცია 2009, პარ. 25 (“ექსტრემისტული საქმიანობა”), ჰონდურასი 2006, პარ. 13 (“უკანონო გაერთიანება”).

⁶⁴ 702/1996, მაკლორენსი იამაიკის წინააღმდეგ (*McLawrence v. Jamaica*), პარ. 5.5 (“კანონიერების პრინციპი ირღვევა, როდესაც ინდივიდის დაკავების ან დაპატიმრების საფუძველები არ არის ნათლად დადგენილი შიდა კანონმდებლობაში.”).

⁶⁵ 856/1999, ჩამბალა ზამბიის წინააღმდეგ (*Chambala v. Zambia*), პარ. 7.3; 138/1981, მპანდანილა და სხვები ზაირის წინააღმდეგ (*Mpandanjila et al. v. Zaire*), პარ. 10.

⁶⁶ 461/2006, და სხვები, მაკსუდოვი და სხვები ყირგიზეთის წინააღმდეგ (*Maksudov et al. v. Kyrgyzstan*), პარ. 12.2.

⁶⁷ 1110/2002, რონალდო ფილიპინების წინააღმდეგ (*Rolando v. The Philippines*), პარ. 5.5.

⁶⁸ 770/1997, გრიდინი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (*Gridin v. Russian Federation*), პარ. 8.1.

⁶⁹ 1449/2006, უმაროვი უზბეკეთის წინააღმდეგ (*Umarov v. Uzbekistan*), პარ. 8.4.

⁷⁰ 981/2001, გომეზ კასაფრანკა პერუს წინააღმდეგ (*Gómez Casafranca v. Peru*), პარ. 7.2.

⁷¹ 2024/2011, იზრაილი ყაზახეთის წინააღმდეგ, პარ. 9.2.

⁷² 1208/2003, კურბონოვი ტაჯიკეთის წინააღმდეგ (*Kurbonov v. Tajikistan*), პარ. 6.5.

⁷³ 1412/2005, ბუტოვენკო უკრაინის წინააღმდეგ (*Butovenko v. Ukraine*), პარ. 7.6.

⁷⁴ იხ. მაგ., 1425/2005, მარზი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (*Marz v. Russian Federation*), პარ. 5.3.

თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერი ფორმის მიზეზებზე. რამდენადაც “დაკავება” აღნიშნავს თავისუფლების შეზღუდვის დაწყებას, ეს მოთხოვნა მოქმედებს მიუხედავად იმისა, დაკავება ფორმალურად ხდება თუ არაფორმალურად, და მიუხედავად იმისა, ის ლეგიტიმურ მიზეზის საფუძველზე ხდება თუ არა.⁷⁵ მეორე, დამატებითი მოთხოვნა ეხება მხოლოდ სისხლისსამართლებრივ ბრალდებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.⁷⁶ თუ პირი უკვე დაპატიმრებულია ერთი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველზე და დამატებით დაპატიმრებულად ჩაითვლება სხვა დაუკავშირებელი ბრალდების საფუძველზეც, მას დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ახალ ბრალდებასთან დაკავშირებით.⁷⁷

25. მოთხოვნა, რომ ყველა დაპატიმრებული პირი ინფორმირებული იყოს დაპატიმრების მიზეზების შესახებ, მიზნად ისახავს, რომ აღნიშნულ პირებს საშუალება მისცეს იბრძოლონ გათავისუფლებისთვის, თუ მიიჩნევენ რომ დასახელებული მიზეზები უკანონო ან დაუსაბუთებელია.⁷⁸ დაკავების მიზეზები უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ზოგად სამართლებრივ საფუძველს დაკავებისთვის, არამედ საკმარის ფაქტობრივ დეტალებს, რომელიც გამოავლენდა საჩივრის არსს, მაგალითად უკანონო ქმედებას და სავარაუდო დაზარალებულის ვინაობას.⁷⁹ “მიზეზები” გულისხმობს დაკავების ოფიციალურ საფუძველს, და არა დაკავების განმარტებული თანამდებობის პირის სუბიექტურ მოტივაციებს.⁸⁰

26. დაკავების მიზეზების ზეპირად შეტყობინება აკმაყოფილებს მოთხოვნას. მიზეზების შესახებ ინფორმაცია პირს უნდა მიეწოდოს მისთვის გასაგებ ენაზე.⁸¹

27. ეს ინფორმაცია პირს უნდა მიეწოდოს დაუყოვნებლივ, დაკავებისთანავე. თუმცაღა გამონაკლის შემთხვევებში, ამგვარი მყისიერი კომუნიკაცია შეიძლება არ იყოს შესაძლებელი, მაგალითად, დაყოვნება შეიძლება გაგრძელდეს თარჯიმნის მოსვლამდე; მაგრამ ნებისმიერი დაყოვნება უნდა იყოს მინიმალური და აბსოლუტურად აუცილებელი.⁸²

28. ზოგიერთი მოწყვლადი კატეგორიის შემთხვევაში უშუალოდ დაკავებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება სავალდებულოა, მაგრამ არაა საკმარისი. როდესაც ბავშვებს აკავებენ, დაკავების და მისი

⁷⁵ 1460/2006, იკლიმოვა თურქმენეთის წინააღმდეგ (Yklymova v. Turkmenistan), პარ. 7.2 (de facto შინაპატიმრობა); 414/1990, მიკა მიჰა ეკვატორული გვინეის წინააღმდეგ (Mika Miha v. Equatorial Guinea), პარ. 6.5 (პრეზიდენტის ბრძანება).

⁷⁶ იხ. მაგ. *აჰმადუ სადიო დიალოს საქმე (Case concerning Ahmadou Sadio Diallo)* გვინეის რესპუბლიკა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ (*Republic of Guinea v. Democratic Republic of the Congo*), გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები 2010 (I.C.J. Reports 2010), გვ. 639, პარ. 77 (მოყვანილია ამ კომიტეტის ნო. 8 ზოგადი კომენტარიდან ციტატა).

⁷⁷ 635/1998, მორისონი იამაიკის წინააღმდეგ (Morrison v. Jamaica), პარ. 22.2-22.3; 1397/2005, ენგო კამერუნის წინააღმდეგ (Engo v. Cameroon), პარ. 7.3.

⁷⁸ 248/1987, კემპბელი იამაიკის წინააღმდეგ (Campbell v. Jamaica), პარ. 6.3.

⁷⁹ 1177/2003, ვენგა და შანდვე კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ (Wenga and Shandwe v. Democratic Republic of the Congo), პარ. 6.2.

⁸⁰ 1812/2008, ლევინოვი ბელარუსის წინააღმდეგ (Levinov v. Belarus), პარ. 7.5.

⁸¹ 868/1999, ვილსონი ფილიპინების წინააღმდეგ (Wilson v. The Philippines), პარ. 3.3, 7.5.

⁸² იხ. 526/1993, ჰილი და ჰილი ესპანეთის წინააღმდეგ (Hill & Hill v. Spain), პარ. 12.2.

მიზეზების შესახებ აგრეთვე უნდა შეატყობინონ უშუალოდ ბავშვის მშობლებს, მეურვეებს ან კანონიერ წარმომადგენლებს.⁸³ ცალკეული ფსიქიკურად დაავადებული პირებისთვის, დაკავებისა და მისი მიზეზების შესახებ ინფორმაცია აგრეთვე უნდა მიეწოდოს უშუალოდ მათ მიერ დასახელებულ პირს და შესაბამის, ოჯახის წევრებს. დამატებითი დრო შეიძლება დაჭრდეს შესაბამისი მესამე პირების დადგენას და მათთან დაკავშირებას, თუმცა შეტყობინება უნდა მოხდეს მაქსიმალურად სწრაფად.

29. მე-2 პუნქტის მეორე მოთხოვნა ეხება შეტყობინებას სისხლისსამართლებრივ ბრალდებასთან დაკავშირებით. პირი, რომელსაც აკავებენ სავარაუდოდ მის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების მიზნებისთვის ან გასასამართლებლად, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ინფორმირებული იმ დანაშაულების შესახებ, რომლის ჩადენაშიც არის ეჭვმიტანილი ან ბრალდებული. ეს უფლება ვრცელდება როგორც ჩვეულებრივ სისხლისსამართლებრივ დევნაზე, ასევე სამხედრო დევნაზე ან სხვა სპეციალურ რეჟიმებზე, რომლებიც მიმართულია სისხლის სამართლის წესით დასჯისკენ.⁸⁴

30. მე-2 პუნქტი მოითხოვს, რომ დაკავებულ პირს დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია ნებისმიერი ბრალდების შესახებ, თუმცა აუცილებელი არ არის ეს დაკავების მომენტში მოხდეს. თუ კონკრეტული ბრალდება უკვე ჩამოყალიბებულია, დაკავების განმახორციელებელმა უფლებამოსილმა პირმა შეიძლება აუწყოს პირს, როგორც დაკავების მიზეზების, ისე ბრალდებების შესახებ, ან ხელისუფლების ორგანომ შეიძლება აუხსნას პირს დაპატიმრების სამართლებრივი საფუძველი რამდენიმე საათით გვიან. მიზეზების შესახებ პირს უნდა ეუწყოს მისთვის გასაგებ ენაზე.⁸⁵ მე-2 პუნქტის თანახმად ბრალდების შესახებ ინფორმირება აადვილებს წინასწარი პატიმრობის კანონიერების დადგენას და შესაბამისად მე-2 პუნქტი არ მოითხოვს ისეთ დეტალურ ინფორმაციას ბრალდებებთან დაკავშირებით, რაც საჭირო იქნება მოგვიანებით სასამართლო პროცესისთვის მომზადების ეტაპზე.⁸⁶ თუ შესაბამისმა ორგანოებმა უკვე მიაწოდეს პირს ინფორმაცია იმ ბრალდებების შესახებ, რომლებთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს გამოძიება დაკავებამდე, მაშინ მე-2 პუნქტი არ მოითხოვს ოფიციალური ბრალდებების დაუყოვნებლივ განმეორებას, ამ შემთხვევაში დაკავების მიზეზების ახსნა საკმარისი იქნება.⁸⁷ 28-ე პარაგრაფში აღწერილი, გასათვალისწინებელი გარემოებები ეხება აგრეთვე ნებისმიერი

⁸³ იხ.1402/2005, კრასნოვა ყირგიზეთის წინააღმდეგ (Krasnova v. Kyrgyzstan), პარ. 8.5; ზოგადი კომენტარი ნო. 32, პარ. 42; იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი ნო. 10, პარ. 48.

⁸⁴ 1782/2008, აბუფაიედი ლიბიის წინააღმდეგ (Aboufaied v. Libya), პარ. 7.6. მოთხოვნა, რომ პირის ინფორმირება მოხდეს ყოველგვარი ბრალდების შესახებ ვრცელდება შესაძლო სამხედრო დევნის მიზნებისთვის დაპატიმრებაზეც, მიუხედავად იმისა პატიმრის გასამართლება სამხედრო სასამართლოს მიერ აკრძალულია თუ არა პატიმრის მე-14 მუხლით. 1649/2007, ელ აბანი ალჟირის წინააღმდეგ (El Abani v. Algeria), პარ. 7.6, 7.8.

⁸⁵ 493/1992, გრიფინი ესპანეთის წინააღმდეგ (Griffin v. Spain), პარ. 9.2.

⁸⁶ ზოგადი კომენტარი ნო. 32, პარ. 31; 702/1996, მაკლორენსი იამაიკის წინააღმდეგ (McLawrence v. Jamaica), პარ. 5.9.

⁸⁷ 712/1996, სმირნოვა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (Smirnova v. Russian Federation), პარ. 10.3.

სისხლისსამართლებრივი ბრალდების შესახებ დაუყოვნებლივ ინფორმირების მოთხოვნასაც, როდესაც არასრულწლოვანის ან სხვა მოწყვლადი პირების დაკავება ხდება.

IV. პატიმრობის სასამართლო კონტროლი სისხლისსამართლებრივი ბრალდების შემთხვევაში

31. მე-3 პუნქტის პირველი წინადადება ეხება “სისხლისსამართლებრივი ბრალდებით დაკავებულ ან დაპატიმრებულ” პირებს, მეორე წინადადება კი სისხლისსამართლებრივი ბრალდების გამო “გასამართლების მოლოდინში” მყოფ პირებს. მე-3 პუნქტი ვრცელდება ჩვეულებრივ სისხლისსამართლებრივ დევნაზე, სამხედრო დევნაზე და სხვა სპეციალურ რეჟიმებზე, რომლებიც მიმართულია სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაკისრებისკენ.⁸⁸

32. მე-3 პუნქტი მოითხოვს, პირველი რიგში, რომ ნებისმიერ სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველზე დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ წარედგინოს მოსამართლეს ან კანონის თანახმად უფლებამოსილ თანამდებობის პირს, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს. ეს მოთხოვნა ვრცელდება ყველა შემთხვევაზე გამონაკლისის გარეშე და არ არის დამოკიდებული დაპატიმრებული პირის უნარზე ან არჩევანზე გამოიყენოს ეს გარანტია.⁸⁹ ეს მოთხოვნა ვრცელდება ჯერ კიდევ მანამ, სანამ ოფიციალური ბრალდების წარდგენა მოხდება, თუ პირი დაკავებული ან დაპატიმრებულია დანაშაულებრივ ქმედების ეჭვის საფუძველზე.⁹⁰ უფლება მიზნას ისახავს, რომ სისხლისსამართლებრივი გამოძიების ან დევნის ქვეშ მყოფი დაპატიმრებული პირი დაექვემდებაროს სასამართლო კონტროლს.⁹¹ თუ პირს, რომელიც ერთი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველზე იმყოფება პატიმრობაში, შეეფარდება პატიმრობა სრულიად განყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველზე, ეს პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს მეორე პატიმრობაზე კონტროლის განსახორციელებლად.⁹² სასამართლო ხელისუფლების ჯეროვანი განხორციელება თავისთავად გულისხმობს, რომ ის უნდა ადასრულოს ხელისუფლების ორგანომ, რომელიც არის დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი მის მიერ განხილული საკითხის

⁸⁸ 1782/2008, აბუფაიედი ლიბიის წინააღმდეგ (Aboufaied v. Libya), პარ. 7.6. მე-3 პუნქტი ვრცელდება შესაძლო სამხედრო დევნის მიზნით დაპატიმრებაზეც, მიუხედავად იმისა პატიმრის გასამართლება სამხედრო სასამართლოს მიერ აკრძალულია თუ არა პაქტის მე-14 მუხლით. 1813/2008, აკვანგა კამერუნის წინააღმდეგ (Akwanga v. Cameroon), პარ. 7.4, 7.5. საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დეტალური წესები სამხედრო დევნის განხორციელებასთან დაკავშირებით აგრეთვე რელევანტურია მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის განმარტებისთვის, რომელიც აგრძელებს მოქმედებას. იხ. ქვემოთ პარაგრაფი 64.

⁸⁹ 1787/2008, კოვში ბელარუსის წინააღმდეგ (Kovsh v. Belarus), პარ. 7.3-7.5.

⁹⁰ 1128/2002, მარკის დე მორაის ანგოლას წინააღმდეგ (Marques de Morais v. Angola), პარ. 6.3-6.4; 1096/2002, კურბანოვა ტაჯიკეთის წინააღმდეგ (Kurbanova v. Tajikistan), პარ. 7.2.

⁹¹ 1914/2009, მუსაევი უზბეკეთის წინააღმდეგ (Musaev v. Uzbekistan), პარ. 9.3.

⁹² 635/1998, მორისონი იამაიკის წინააღმდეგ (Morrison v. Jamaica), პარ. 22.2-22.3; 762/1997, ჯენსენი ავსტრალიის წინააღმდეგ (Jensen v. Australia), პარ. 6.3.

მიმართ.⁹³ შესაბამისად, საჯარო პროკურორი ვერ ჩაითვლება მე-3 პუნქტის მიზნებისთვის სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოდ.⁹⁴

33. მართალია, ტერმინის “დაუყოვნებლივ” მნიშვნელობა შეიძლება იცვლებოდეს ობიექტური გარემოებების მიხედვით,⁹⁵ მაგრამ დაყოვნება არ უნდა გადასცდეს რამდენიმე დღეს დაკავების მომენტიდან.⁹⁶ კომიტეტი მიიჩნევს, რომ 48 საათი ჩვეულებრივ საკმარისია ინდივიდის გადასაყვანად და სასამართლო მოსმენისთვის მოსამზადებლად;⁹⁷ დაყოვნება, რომელიც სცდება 48 საათს შეიძლება აბსოლუტურ გამონაკლის წარმოადგენდეს და გამართლებულად ჩაითვალოს არსებულ პირობებში.⁹⁸ უფრო ხანგრძლივად სამართალდამცავი ორგანოების პატიმრობაში ყოფნა, რაზეც არ ხორციელდება სასამართლო კონტროლი, ზედმეტად ზრდის არასათანადო მოპყრობის რისკს.⁹⁹ წევრი სახელმწიფოების უმრავლესობის კანონმდებლობა ადგენს ზუსტ ვადებს, და ხანდახან უფრო მცირე ვადასაც ვიდრე 48 საათია, და ეს ვადები აგრეთვე დაცული უნდა იქნეს. დაუყოვნებლივ სასამართლოში წარდგენასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მკაცრი სტანდარტი, როგორცაა 24 საათი, უნდა მოქმედებდეს არასრულწლოვნების საქმეებზე.¹⁰⁰

34. ინდივიდი ფიზიკურად უნდა წარედგინოს მოსამართლეს, ან სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელ სხვა პირს.¹⁰¹ პატიმრების ფიზიკური დასწრება მოსმენაზე საშუალებას იძლევა მოხდეს პატიმრობის განმავლობაში მის მიმართ გამოვლენილი მოპყრობის გამოკვლევა,¹⁰² და აადვილებს მყისიერად გადაყვანას წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაში, თუ გადაწყდება პატიმრობის გაგრძელება. ამდენად ეს წარმოადგეს ადამიანის პირადი ხელშეუხებლობის უფლების დაცვის და წამების, სასტიკი, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის გარანტიას. გამართულ სასამართლო მოსმენაზე, და მომდევნო მოსმენებზე, სადაც მოსამართლე აფასებს პატიმრობის

⁹³ 521/1992, კულომინი უნგრეთის წინააღმდეგ (Kulomin v. Hungary), პარ. 11.3.

⁹⁴ იხ. იქვე; 1547/2007, ტორობეკოვი ყირგიზეთის წინააღმდეგ (Torobekov v. Kyrgyzstan), პარ. 6.2; 1278/2004, რეშეტნიკოვი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (Reshetnikov v. Russian Federation), პარ. 8.2; დასკვნითი შენიშვნები ტაჯიკეთი 2005, პარ. 12.

⁹⁵ 702/1996, მაკლორენსი იამაიკის წინააღმდეგ (McLawrence v. Jamaica), პარ. 5.6; 2120/2011, კოვალევი ბელარუსის წინააღმდეგ (Kovalev v. Belarus), პარ. 11.3.

⁹⁶ 1128/2002, მარკის დე მორაის ანგოლას წინააღმდეგ (Marques de Morais v. Angola), პარ. 6.3; 277/1988, ტერან ჯიჯონი ეკვადორის წინააღმდეგ (Terán Jijón v. Ecuador) (ხუთი დღე არ ჩაითვალა “დაუყოვნებლად”); 625/1995, ფრიმანთლი იამაიკის წინააღმდეგ (Freemantle v. Jamaica), პარ. 7.4 (ოთხი დღე არ ჩაითვალა “დაუყოვნებლად”).

⁹⁷ 1787/2008, კოვში ბელარუსის წინააღმდეგ (Kovsh v. Belarus), პარ. 7.3-7.5.

⁹⁸ იქვე; იხ. აგრეთვე 336/1988, ფილასტრე ბოლივიის წინააღმდეგ (Fillastre v. Bolivia), პარ. 6.4 (შეზღუდული ბიუჯეტი არ ამართლებს ათ-დღიან დაყოვნებას).

⁹⁹ იხ. დასკვნითი შენიშვნები უნგრეთი 2002, პარ. 8.

¹⁰⁰ იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი ნო. 10, პარ. 83.

¹⁰¹ 289/1988, ვოლფი პანამას წინააღმდეგ (Wolf v. Panama), პარ. 6.2; 613/1995, ლიჰონგი იამაიკის წინააღმდეგ (Leehong v. Jamaica), პარ. 9.5. რაც შეეხება ფრაზას “სხვა პირი, რომელიც კანონით უფლებამოსილია განახორციელოს სასამართლო ხელისუფლება”, იხ. ზემოთ პარაგრაფი 32.

¹⁰² იხ. პრინციპების ერთობლიობა ნებისმიერი ფორმით დაპატიმრებული ან თავისუფლებადკვეთილი პირების დაცვისთვის, დამტკიცებული გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 43/173.

კანონიერებას და საჭიროებას, ინდივიდს აქვს უფლება მიიღოს სამართლებრივი დახმარება, რომელიც პრინციპის დონეზე მას უნდა გაუწიოს მის მიერ არჩეულმა ადვოკატმა.¹⁰³

35. *Incommunicado* პატიმრობა, რაც ხელს უშლის დაუყოვნებლივ მოსამართლის წინაშე წარდგენას თავისთავად არღვევს მე-3 პუნქტს.¹⁰⁴ მისი ხანგრძლივობისა და სხვა ფაქტების გათვალისწინებით, *incommunicado* პატიმრობა აგრეთვე არღვევს პაქტის სხვა უფლებებს, მათ შორის მე-6, მე-7, მე-10 და მე-14 მუხლებს.¹⁰⁵ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დართონ ნება და ხელი შეუწყონ პატიმრებს, რათა მათ ხელი მიუწვდებოდეთ ადვოკატზე სისხლის სამართლის საქმეებში, დაპატიმრების დასაწყისიდანვე.¹⁰⁶

36. როგორც კი ინდივიდი წარედგინება მოსამართლეს, მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს პირი უნდა გათავისუფლდეს თუ შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა, დამატებითი გამოძიებისთვის ან გასამართლების მოლოდინში. თუ კანონიერი საფუძველი არ არსებობს პატიმრობის გასაგრძელებლად, მოსამართლემ უნდა გასცეს გათავისუფლების ბრძანება.¹⁰⁷ თუ დამატებითი გამოძიება ან გასამართლება გამართლებულია, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ინდივიდი გათავისუფლებული უნდა იქნეს თუ არა (გარკვეული პირობებით ან პირობების გარეშე) სამომავლო სამართალწარმოების მოლოდინში, რადგანაც პატიმრობა არ არის საჭირო. აღნიშულ საკითხს უფრო სრულად ეხება მე-3 პუნქტის მეორე წინადადება. კომიტეტის აზრით, წინასწარი პატიმრობა არ უნდა იწვევდეს პირის დაბრუნებას პოლიციის პატიმრობაში, არამედ უნდა იწვევდეს მის გადაყვანას ცალკე დაწესებულებაში, რომელსაც სხვა ორგანო მართავს, სადაც დაპატიმრებული პირის უფლებების შელახვის რისკი, უფრო მარტივად შეიძლება შემცირდეს.

37. მე-3 პუნქტის პირველი წინადადების მეორე მოთხოვნის თანახმად, დაპატიმრებულ პირს აქვს გონივრულ ვადაში გასამართლების ან გათავისუფლების უფლება. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით ეხება წინასწარი პატიმრობის პერიოდს, ანუ პატიმრობას დაკავების მომენტიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებამდე.¹⁰⁸ უაღრესად გაჭიანურებულმა წინასწარმა პატიმრობამ შეიძლება აგრეთვე საფრთხე შეუქმნას უდანაშაულობის პრეზუმპციას მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.¹⁰⁹ პირები, რომლებიც პატიმრობაში რჩებიან გასამართლების მოლოდინში, მაქსიმალურად სწრაფად უნდა

¹⁰³ იხ. დასკვნითი შენიშვნები კენია 201, პარ. 19; იხ. აგრეთვე მუხლი 14, პუნქტი 3(დ); პრინციპების ერთობლიობა (იხ. სქოლიო 102 ზემოთ), პრინციპი 11.

¹⁰⁴ 1297/2004, მეჯნური ალჟირის წინააღმდეგ (*Medjnoune v. Algeria*), პარ. 8.7.

¹⁰⁵ 1781/2008, ბერზიგი ალჟირის წინააღმდეგ (*Berzig v. Algeria*), პარ. 8.4, 8.5, 8.8; 176/1984, ლაფუენტე პენარიეტა ბოლივიის წინააღმდეგ (*Lafuente Peñarrieta v. Bolivia*), პარ. 16.

¹⁰⁶ იხ. ზოგადი კომენტარი ნო. 32, პარ. 32, 34, 38; დასკვნითი შენიშვნები ტოგო 2011, პარ. 19, ქვემოთ პარაგრაფი 58.

¹⁰⁷ იხ. დასკვნითი შენიშვნები ტაჯიკეთი 2005, პარ. 12; 647/1995, პენანტი იამაიკის წინააღმდეგ (*Pennant v. Jamaica*), პარ. 8.2.

¹⁰⁸ 1397/2005, ენგო კამერუნის წინააღმდეგ (*Engo v. Cameroon*), პარ. 7.2. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტსა და მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტს შორის მიმართებასთან დაკავშირებით, იხ. ზოგადი კომენტარი ნო. 32, პარ. 61.

¹⁰⁹ 788/1997, კაგასი ფილიპინების წინააღმდეგ (*Cagas v. Philippines*), პარ. 7.3.

გასამართლდნენ, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა დაცვის უფლება.¹¹⁰ სასამართლოსთვის საქმის გადაცემის ნებისმიერი დაყოვნების გონივრულობა უნდა შეფასდეს თითოეული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, საქმის კომპლექსურობის მიხედვით, ბრალდებულის ქცევის მიხედვით სამართალწარმოების პროცესში და იმის მიხედვით, როგორ დამოკიდებულებას იჩენდნენ საკითხისადმი აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები.¹¹¹ გამოძიების დასრულებისთვის შექმნილმა დაბრკოლებებმა შეიძლება გასამართლოს დამატებითი დროის გამოყენება,¹¹² მაგრამ შტატების ნაკლებობითა და შეზღუდული ბიუჯეტით გამოწვეული ზოგადი მდგომარეობა ვერ იქნება გამართლება.¹¹³ როცა დაყოვნება საჭირო ხდება, მოსამართლემ ხელახლა უნდა შეაფასოს წინასწარი პატიმრობის ალტერნატივები.¹¹⁴ არასრულწლოვნების წინასწარი პატიმრობა თავიდან უნდა იქნეს არიდებული, თუმცა როდესაც ამგვარი რამ ხდება, მათ უფლება აქვთ განსაკუთრებით სწრაფად იქნენ წარდგენილნი სასამართლოში გასამართლებისთვის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად.¹¹⁵

38. მე-3 პუნქტის მეორე წინადადება მოითხოვს, რომ გასამართლების მოლოდინში მყოფი პირების პატიმრობა გამონაკლის წარმოადგენდეს და არა წესს. ის აგრეთვე აზუსტებს, რომ ამგვარი პატიმრობისგან გათავისუფლება შეიძლება დამოკიდებული იყოს პირის გამოცხადების გარანტიებზე, მათ შორის, სასამართლოში გამოცხადების გარანტიაზე, სასამართლო პროცესის ნებისმიერ სხვა ეტაპზე გამოცხადების გარანტიაზე და (თუ ამის საჭიროება წარმოიშვა), განაჩენის აღსრულებისთვის გამოცხადების გარანტიაზე. ეს წინადადება ვრცელდება პირებზე, რომელთაც წარდგენილი აქვთ სისხლისსამართლის ბრალდება და ელოდებიან გასამართლებას, ანუ მოიცავს ბრალის წაყენების შემდეგ ეტაპს. თუმცა მსგავსი მოთხოვნა მოქმედებს ბრალის წაყენებამდეც, რაც გამომდინარეობს თვითნებური დაკავების აკრძალვიდან პირველ პუნქტში.¹¹⁶ ზოგად პრაქტიკას არ უნდა წარმოადგენდეს ბრალდებულების წინასწარ პატიმრობაში მოთავსება.

¹¹⁰ ზოგადი კომენტარი ნო. 32, პარ. 35; 818/1998, სექსტუსი ტრინიდადის წინააღმდეგ (*Sextus v. Trinidad*), პარ. 7.2.

¹¹¹ 1085/2002, ტარაითი ალჟირის წინააღმდეგ (*Taright v. Algeria*), პარ. 8.2-8.4; 386/1989, კონე სენეგალის წინააღმდეგ (*Koné v. Senegal*), პარ. 8.6; იხ. აგრეთვე 777/1996, ტისდაილი ტრინიდადისა და ტობაგოს წინააღმდეგ (*Teesdale v. Trinidad and Tobago*), პარ.9.3 (17-თვიანი დაყოვნება წარმოადგენდა მე-3 პუნქტის დარღვევას); 614/1995 თომასი იამაიკის წინააღმდეგ (*Thomas v. Jamaica*), პარ. 9.6 (თითქმის 14-თვიანი დაყოვნება არ ჩაითვალა მე-3 პუნქტის დარღვევად); ზოგადი კომენტარი ნო. 32, პარ. 35 (განხილულია სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში დაყოვნების გონივრულობის შეფასებისთვის რელევანტური ფაქტორები).

¹¹² 721/1997, ბუდუ ტრინიდადისა და ტობაგოს წინააღმდეგ (*Boodoo v. Trinidad and Tobago*), პარ. 6.2.

¹¹³ 336/1988, ფილასტრე ბოლივიის წინააღმდეგ (*Fillastre v. Bolivia*), პარ. 6.5; 818/1998, სექსტუსი ტრინიდადისა და ტობაგოს წინააღმდეგ (*Sextus v. Trinidad and Tobago*), პარ. 4.2, 7.2.

¹¹⁴ 1085/2002, ტარაითი ალჟირის წინააღმდეგ (*Taright v. Algeria*), პარ. 8.3.

¹¹⁵ ზოგადი კომენტარი ნო. 21, პარ. 13; იხ. აგრეთვე ზოგადი კომენტარი 32, პარ. 42; ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი ნო. 10, პარ. 83.

¹¹⁶ 1128/2002, მარკის დე მორაისი ანგოლას წინააღმდეგ (*Marques de Morais v. Angola*), პარ. 6.1, 6.4.

წინასასამართლო პერიოდში პატიმრობა უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალიზებულ შეფასებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა იქნება გონივრული და საჭირო არსებულ პირობებში გაქცევის, მტკიცებულებებზე ზემოქმედების ან ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად.¹¹⁷ რელევანტური ფაქტორები კანონში უნდა იყოს განსაზღვრული და არ უნდა მოიცავდეს ისეთ ბუნდოვან და ფართო სტანდარტებს, როგორცაა “საზოგადოებრივი უსაფრთხოება”.¹¹⁸ წინასწარი პატიმრობა არ უნდა იყოს სავალდებულო რომელიმე კონკრეტულ დანაშაულში ბრალდებული ყველა პირის მიმართ, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინების გარეშე.¹¹⁹ წინასწარი პატიმრობის ვადა აგრეთვე არ უნდა ეფუძნებოდეს ბრალად წაყენებული დანაშაულისთვის მოსალოდნელ სასჯელს, მისი საჭიროების განსაზღვრის ნაცვლად. სასამართლოებმა უნდა შეაფასონ წინასწარი პატიმრობის ისეთი ალტერნატივები, როგორცაა გირაო, ელექტრონული სამაჯურები ან სხვა პირობები, თუ აქცევს პატიმრობას არასაჭიროდ კონკრეტულ საქმეში.¹²⁰ თუ ბრალდებული უცხოელია, მხოლოდ ეს ფაქტი არ უნდა ჩაითვალოს საკმარისად იმის დასადგენად, რომ ბრალდებული გაიქცევა კონკრეტული იუსდიქციიდან.¹²¹ მას შემდეგ, რაც საწყის ეტაპზე განისაზღვრება, რომ წინასწარი პატიმრობა აუცილებელია, შესაძლო ალტერნატივების გათვალისწინებით უნდა მოხდეს პერიოდული გადამოწმება იმისა, თუ არის პატიმრობა კვლავაც გონივრული და აუცილებელი.¹²² თუ პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ბრალდებული დაკავებული იყო აღწევს მისთვის ბრალად წარდგენილი დანაშაულისთვის დადგენილ, მაქსიმალური სასჯელის ვადას, ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს. არასრულწლოვნების წინასწარი პატიმრობა მაქსიმალურად უნდა იქნეს თავიდან არიდებული.¹²³

V. უკანონო ან თვითნებური პატიმრობისგან გათავისუფლებისთვის სასამართლოსთვის მიმართვის უფლება

39. მე-4 პუნქტი ყველა დაკავებულ ან დაპატიმრებულ - თავისუფლებაზეზღუდულ ადამიანს ანიჭებს უფლებას მიმართონ სასამართლოს, რათა მან გაჭიანურების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება პატიმრობის კანონიერების შესახებ ან უკანონო პატიმრობის შემთხვევაში - პირის გათავისუფლების შესახებ. მასში მოცემულია *habeas corpus* პრინციპი.¹²⁴ შესაბამის გარემოებებში, პატიმრობის ფაქტობრივი

¹¹⁷ 1502/2006, მარინიჩი ბელარუსის წინააღმდეგ (Marinich v. Belarus), პარ. 10.4; 1940/2010, სედენო ვენესუელას წინააღმდეგ (Cedeño v. Venezuela), პარ. 7.10; 1547/2007, ტორობეკოვი ყირგიზეთის წინააღმდეგ (Torobekov v. Kyrgyzstan), პარ. 6.3.

¹¹⁸ იხ. დასკვნითი შენიშვნები ბოსნია და ჰერცეგოვინა 2006, პარ. 18.

¹¹⁹ იხ. დასკვნითი შენიშვნები არგენტინა 2000, პარ.10; შრი ლანკა 2003, პარ. 13.

¹²⁰ 1178/2003, სმანსტერი ბელარუსის წინააღმდეგ (Smantser v. Belarus), პარ. 10.3.

¹²¹ 526/1993, ჰილი და ჰილი ესპანეთის წინააღმდეგ (Hill & Hill v. Spain), პარ. 12.3.

¹²² 1085/2002, ტარაითი ალჟირის წინააღმდეგ (Taright v. Algeria), პარ. 8.3-8.4.

¹²³ ზოგადი კომენტარი ნო. 32, პარ. 42; იხ. ზავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი ნო. 10, პარ. 80.

¹²⁴ 1342/2005, გავრილინი ბელარუსის წინააღმდეგ (Gavrilin v. Belarus), პარ. 7.4.

საფუძვლის შემოწმება შეიძლება შემოიფარგლოს წინათ იმავე საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების გონივრულობის შემოწმებით.¹²⁵

40. ეს უფლება ვრცელდება ყველა პატიმრობაზე, რასაც ახორციელებს ხელისუფლება ან რაც ხორციელდება მისი ოფიციალური ნებართვის საფუძველზე, მათ შორის პატიმრობა სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების ფარგლებში, სამხედრო პატიმრობა, პატიმრობა უშიშროების მიზნებისთვის, კონტრ-ტერორისტული მიზნებისთვის, არანებაყოფლობითი ჰოსპიტალიზაცია, პატიმრობა იმიგრაციასთან დაკავშირებით, პატიმრობა ექსტრადიციისთვის და სრულიად უსაფუძვლო დაკავებები.¹²⁶ ის აგრეთვე ვრცელდება მაწანწალობის ან წამალდამოკიდებულების გამო პატიმრობასა, და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების დაპატიმრებაზე საგანმანათლებლო მიზნებისთვის,¹²⁷ და ადმინისტრაციული პატიმრობის სხვა ფორმებზე.¹²⁸ პატიმრობა მე-4 პუნქტის მიზნებისთვის აგრეთვე მოიცავს შინაპატიმრობას და სამართლო საკანში მოთავსებას.¹²⁹ როდესაც სასამართლოს მიერ მსჯავრდების შედეგად პატიმარი იხდის თავისუფლების აღკვეთის სასჯელის მინიმალურ ვადას, როგორც განსაზღვრულ-ვადიან სასჯელს ან პოტენციურად უფრო ხანგრძლივი სასჯელის განსაზღვრულ მონაკვეთს, მე-4 პუნქტი არ მოითხოვს შემდგომში პატიმრობის გადასინჯვას.¹³⁰

41. ამ უფლების ობიექტია (პირობითი თუ უპირობო¹³¹) გათავისუფლება მიმდინარე უკანონო პატიმრობისგან; უკვე დასრულებული უკანონო პატიმრობისთვის კომპენსაციას ეხება მე-5 პუნქტი. მე-4 პუნქტი მოითხოვს, რომ სასამართლოს, რომელიც კონტროლს ახორციელებს, ქონდეს უკანონო პატიმრობისგან გათავისუფლების უფლებამოსილება.¹³² მე-4 პუნქტის თანახმად, როდესაც სასამართლო ბრძანება გათავისუფლების შესახებ ძალაში შედის (*exécutoire*), ის დაუყოვნებლივ

¹²⁵ 1051/2002, აჰანი კანადის წინააღმდეგ (*Ahani v. Canada*), პარ. 10.2; 754/1997, ა. ახალი ზელანდიის წინააღმდეგ (*A. v. New Zealand*), პარ. 7.3.

¹²⁶ იხ. 248/1987, კემპბელი იამაიკის წინააღმდეგ (*Campbell v. Jamaica*), პარ. 6.4; 962/2001, მულეზი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ (*Mulezi v. Democratic Republic of the Congo*), პარ. 5.2; 1051/2002, აჰანი კანადის წინააღმდეგ (*Ahani v. Canada*), პარ. 10.2; 1062/2002, ფიიალკოვსკა პოლონეთის წინააღმდეგ (*Fijalkowska v. Poland*), პარ. 8.4; 291/1988, ტორესი ფინეთის წინააღმდეგ (*Torres v. Finland*), პარ. 7.4; 414/1990, მიკა მიჰა ეკვატორული გვინეის წინააღმდეგ (*Mika Miha v. Equatorial Guinea*), პარ. 6.5.

¹²⁷ 265/1987, ვუოლანი ფინეთის წინააღმდეგ (*Vuolanne v. Finland*), პარ. 9.5; შედარებისთვის იხ. დასკვნითი შენიშვნები რუანდა 2009, პარ. 16 (მოცემულია რეკომენდაცია მაწანწალობის გამო პატიმრობის გაუქმების შესახებ).

¹²⁸ იხ. დასკვნითი შენიშვნები მოლდოვა 2002, პარ. 11.

¹²⁹ 1172/2003, მადანი ალჟირის წინააღმდეგ (*Madani v. Algeria*), პარ. 8.5; 265/1987, ვუოლანი ფინეთის წინააღმდეგ (*Vuolanne v. Finland*), პარ. 9.5.

¹³⁰ 954/2000, მინოგი ავსტრალიის წინააღმდეგ (*Minogue v. Australia*), პარ. 6.4; 1342/2005, გავრილინი ბელარუსის წინააღმდეგ (*Gavrillin v. Belarus*), პარ. 7.4. თუმცა, მუხლი 14, პუნქტი 5, სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულ პირებს ანიჭებს მსჯავრდების შესახებ პირველი გადაწყვეტილების ერთჯერადი გასაჩივრების უფლებას შემდგომ სასამართლოში. ზოგადი კომენტარი ნო. 32, პარ. 45.

¹³¹ E.g., 473/1991, ბაროზო პანამას წინააღმდეგ (*Barroso v. Panama*), პარ. 2.4, 8.2 (*habeas corpus* გირაოს საფუძველზე გათავისუფლებისთვის).

¹³² 1324/2004, შაფიკი ავსტრალიის წინააღმდეგ (*Shafiq v. Australia*), პარ. 7.4.

უნდა შესრულდეს და პატიმრობის გაგრძელება იქნება თვითნებობა და დაარღვევს მე-9 მუხლის პირველ პუნქტს.¹³³

42. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება პრინციპში მოქმედებს დაკავების მომენტიდან და რაიმე მნიშვნელოვანი მოსაცდელი ვადის დადგენა, სანამ დაპატიმრებულ პირს შეეძლება პირველი სარჩელის აღძვრა პატიმრობასთან დაკავშირებით დაუშვებელია.¹³⁴ ზოგადად, დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს პირადად გამოცხადდეს სასამართლოში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამგვარი დასწრება წადგება დაპატიმრების კანონიერების გამოძიებას, ან როდესაც კითხვები არსებობს პატიმრის მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.¹³⁵ სასამართლოს უნდა ქონდეს უფლება მოითხოვოს, რომ დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ წარადგინონ მის წინაშე, მიუხედავად იმისა, თავად დაპატიმრებულმა პირმა ითხოვა თუ არა წარდგენა.

43. უკანონო პატიმრობა მოიცავს პატიმრობას, რომელიც კანონიერი იყო დაწყების მომენტში, მაგრამ შემდგომში გახდა უკანონო, რადგან პირმა დაასრულა თავისუფლების აღკვეთის სასჯელის მოხდა, ან ის გარემოებები შეიცვალნენ, რომლებიც ამართლებდნენ პატიმრობას.¹³⁶ როცა სასამართლო გადაწყვეტს, რომ არსებული გარემოებები ამართლებენ პატიმრობას, შეიძლება გარკვეული დროის გასვლა იყოს საჭირო, შესაბამისი გარემოებების ხასიათის მიხედვით, სანამ ინდივიდს კვლავ ექნება უფლება სამართალწარმოება დაიწყოს იმავე საფუძველებით.¹³⁷

44. “უკანონო” პატიმრობა მოიცავს როგორც პატიმრობას, რომელიც არღვევს შიდა კანონმდებლობას, ასევე პატიმრობას, რომელიც შეუთავსებელია მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებთან ან პაქტის ნებისმიერ სხვა რელევანტურ დებულებასთან.¹³⁸ შიდა სამართლებრივმა სისტემამ შეიძლება განსხვავებული მეთოდები აირჩიოს პატიმრობის სასამართლო კონტროლისთვის, მაგრამ მე-4 პუნქტი მოითხოვს, რომ არსებობდეს სასამართლო დაცვის მექანიზმი იმ პატიმრობის წინააღმდეგ, რომელიც უკანონოა რომელიმე ზემოხსენებული საფუძველით.¹³⁹ მაგალითად საოჯახო სასამართლოს უფლება გაათავისუფლოს ბავშვი პატიმრობისგან, თუ პატიმრობა მის საუკეთესო

¹³³ 856/1999, ჩამბალა ზამბიის წინააღმდეგ (Chambala v. Zambia), პარ. 7.2.

¹³⁴ 291/1988, ტორესი ფინეთის წინააღმდეგ (Torres v. Finland), პარ. 7.2 (შვიდი დღე).

¹³⁵ იხ. პრინციპების ერთობლიობა (სქოლიო 102 ზემოთ), პრინციპი 32(2); ზოგადი კომენტარი ნო. 29, პარ. 16.

¹³⁶ 1090/2002, რამეკა ახალი ზელანდიის წინააღმდეგ (Rameka v. New Zealand), პარ. 7.3-7.4.

¹³⁷ იქვე (მსჯავრდების შემგომი პრევენციული პატიმრობის ყოველწლიური კონტროლი); 754/1997, ა. ახალი ზელანდიის წინააღმდეგ (A. v. New Zealand), პარ. 7.3 (კოსპიტალიზაციის რეგულარული კონტროლი); 291/1988, ტორესი ფინეთის წინააღმდეგ (Torres v. Finland), პარ. 7.4 (ექსტრადიციის მიზნით პატიმრობის კონტროლი ყოველ ორ კვირაში).

¹³⁸ 1255/2004 და სხვები., შემსი და სხვები ავსტრალიის წინააღმდეგ (Shams et al. v. Australia), პარ. 7.3.

¹³⁹ იქვე.

ინტერესებს არ შეესაბამება, დააკმაყოფილებს მე-4 პუნქტის მოთხოვნებს შესაბამის საქმეებში.¹⁴⁰

45. მე-4 პუნქტი ინდივიდს აძლევს უფლებას საქმე აღძრას “სასამართლოში”- აქ ჩვეულებრივ სასამართლო ხელისუფლების ფარგლებში არსებული სასამართლო იგულისხმება. გამონაკლისის სახით, პატიმრობის ზოგიერთი ფორმისთვის კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს სპეციალურ ტრიბუნალს, რომელიც კანონით უნდა იყოს დადგენილი და დამოუკიდებელი უნდა იყოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისგან ან უნდა ქონდეს სასამართლო დამოუკიდებლობა სამართლებრივ საკითხების გადაწყვეტისას იმ წარმოების ფარგლებში, რომელიც თავისი არსით სასამართლო წარმოებაა.¹⁴¹

46. მე-4 პუნქტი სასამართლოსთვის მიმართვის არჩევანს უტოვებს დაპატიმრებულ პირებს ან მისი სახელით მოქმედ პირებს; მე-3 პუნქტისგან განსხვავებით, ის არ მოითხოვს პირის პატიმრობის განმახორციელებელი ხელისუფლების ორგანოებისგან, რომ ავტომატურად დაიწყონ კონტროლის პროცედურა.¹⁴² კანონი, რომელიც პატიმრების გარკვეულ კატეგორიას ართმევს სასამართლოსთვის მიმართვის საშუალებას, რაც მე-4 პუნქტის მოთხოვნა არღვევს პაქტს.¹⁴³ პრაქტიკა რომელიც რეალურად არახელმისაწვდომს ხდის ამგვარ სასამართლო კონტროლს ინდივიდისთვის, მათ შორის *incommunicado* პატიმრობა, აგრეთვე დარღვევას წარმოადგენს.¹⁴⁴ ეფექტური კონტროლის ხელშესაწყობად, პატიმრებს რეგულარულად და დაყოვნების გარეშე უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ადვოკატზე. პატიმრებს მათთვის გასაგებ ენაზე უნდა აუხსნან მათი უფლება მიმართონ სასამართლოს პატიმრობის კანონირებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად.¹⁴⁵

47. თავისუფლებააღკვეთილ პირებს არა მხოლოდ სამართალწარმოების დაწყების უფლება აქვთ, არამედ უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება დაყოვნების გარეშე. განსჯადი სასამართლოს უარი გადაწყვეტილება მიიღოს დაპატიმრებული პირის სარჩელზე

¹⁴⁰ 1069/2002, ბახტიარი ავსტრალიის წინააღმდეგ (Bakhtiyari v. Australia), პარ. 9.5.

¹⁴¹ 1090/2002, რამეკა ახალი ზელანდიის წინააღმდეგ (Rameka v. New Zealand), პარ. 7.4 (ვადამდე გათავისუფლების საბჭოს უნარის შეფასება ფუნქციონირებდეს, როგორც სასამართლო); 291/1988, ტორესი ფინეთის წინააღმდეგ (Torres v. Finland), პარ. 7.2 (დადგინდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განხორციელებული კონტროლი არ იყო საკმარისი); 265/1987, ვუოლანი ფინეთის წინააღმდეგ (Vuolanne v. Finland), პარ. 9.6 (დადგინდა, რომ ზემდგომი სამხედრო თანამდებობის პირის კონტროლი არ იყო საკმარისი); იხ. ზოგადი კომენტარი ნო. 32, პარ. 18-22.

¹⁴² 373/1989, სტივენსი იამაიკის წინააღმდეგ (Stephens v. Jamaica), პარ. 9.7.

¹⁴³ R.1/4, ტორეს რამირეზი ურუგვაის წინააღმდეგ (Torres Ramirez v. Uruguay), პარ. 18; 1449/2006, უაროვი უზბეკეთის წინააღმდეგ (Umarov v. Uzbekistan), პარ. 8.6.

¹⁴⁴ R.1/5, ჰერნანდეზ ვალენტინი დე ბაზანო ურუგვაის წინააღმდეგ (Hernández Valentini de Bazzano v. Uruguay), პარ. 10; 1751/2008, აბუსედრა ლიბიის არაბული სახელმწიფოს წინააღმდეგ (Aboussedra v. Libyan Arab Jamahiriya), პარ. 7.6; 1062/2002, ფიიალკოვსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Fijalkowska v. Poland), პარ. 8.4 (სახელმწიფოს მხრიდან მოვალეობების შეუსრულებლობის გამო პაციენტს არ ქონდა საშუალება გაესაჩივრებინა არანებაყოფლობითი მოთავსება საავადმყოფოში).

¹⁴⁵ იხ. პრინციპების ერთობლიობა (სქოლიო 102 ზემოთ), პრინციპები 13-14.

გათავისუფლებასთან დაკავშირებით არღვევს მე-4 პუნქტს.¹⁴⁶ საქმის განხილვა რამდენადაც შესაძლებელია იმდენად სწრაფად უნდა განხორციელდეს.¹⁴⁷ დაყოვნება, რომელიც მოსარჩელის მიზეზით ხდება არ ჩაითვლება სასამართლოს მიერ დაყოვნებად.¹⁴⁸

48. პაქტი არ მოითხოვს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც პატიმრობას კანონიერად მიიჩნევს, ექვემდებარებოდეს გასაჩივრებას. თუ წევრი სახელმწიფო გაითვალისწინებს აპელაციის და ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების შესაძლებლობას, გაჭიანურება შეიძლება დაკავშირებული იყოს სამართალწარმოების ცვალებად ხასიათთან და ნებისმიერ შემთხვევაში არ უნდა იყოს გადაჭარბებული.¹⁴⁹

VI. უკანონო ან თვითნებური დაკავების ან დაპატიმრების გამო კომპენსაციის უფლება

49. პაქტის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ ყველას ვინც უკანონო დაკავების ან პატიმრობის მსხვერპლი გახდა უნდა ქონდეს კომპენსაციის მიღების სასამართლოს მიერ აღსრულებადი უფლება. მე-4 პუნქტის მსგავსად, მე-5 პუნქტი ადგენს ადამიანის უფლებების დარღვევისთვის კონკრეტული, ეფექტური დაცვის საშუალების მაგალითს და წევრ სახელმწიფოებს ევალებათ უზრუნველყონ აღნიშნული საშუალების ხელმისაწვდომობა. ეს კონკრეტული დაცვის საშუალებები არ ანაცვლებს, არამედ ემატება სხვა საშუალებებს, რაც შეიძლება საჭირო იყოს კონკრეტულ სიტუაციაში უკანონო ან თვითნებური დაკავების ან პატიმრობის მსხვერპლისთვის პაქტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად.¹⁵⁰ მე-4 პუნქტი ითვალისწინებს სწრაფ საშუალებას პირის მიმდინარე უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებისთვის, მე-5 პუნქტი კი ხაზს უსვამს, რომ უკანონო დაკავების ან პატიმრობის მსხვერპლს აქვს აგრეთვე ფინანსური კომპენსაციის უფლება.

50. მე-5 პუნქტი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს შექმნან სამართლებრივი ჩარჩო, რომელშიც მსხვერპლს შეეძლება კომპენსაციის მიღება, სასამართლოს მიერ დაცვადი უფლების საფუძველზე და არა კეთილი ნების ან დისკრეციის საფუძველზე. დაცვის საშუალება მხოლოდ თეორიულად არ უნდა არსებობდეს, არამედ ეფექტურად უნდა ფუნქციონირებდეს და ანაზღაურება უნდა გაიცეს გონივრულ ვადაში. მე-5 პუნქტი არ აზუსტებს პროცედურის კონკრეტულ ფორმას, ის შეიძლება მოიცავდეს უფლების აღდგენის საშუალებებს თავად სახელმწიფოს წინააღმდეგ, ან იმ კონკრეტული თანამდებობის პირების წინააღმდეგ რომლებიც პასუხისმგებლები არიან დარღვევაზე; მთავარია რომ

¹⁴⁶ 1128/2002, მარკის დე მორაისი ანგოლის წინააღმდეგ (Marques de Morais v. Angola), პარ. 6.5.

¹⁴⁷ 291/1988, ტორესი ფინეთის წინააღმდეგ (Torres v. Finland), პარ. 7.3.

¹⁴⁸ 1051/2002, აჰანი კანადის წინააღმდეგ (Ahani v. Canada), პარ. 10.3.

¹⁴⁹ 1752/2008, ჯ. ს. ახალი ზელანდიის წინააღმდეგ (J.S. v. New Zealand), პარ. 6.3-6.4 (შესაბამის კონტექსტში რვა-დღიანი პერიოდი პირველ ინსტანციაში, სამი კვირა - მეორე ინსტანციაში და 2 თვე - მესამე ინსტანციაში ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად).

¹⁵⁰ ზოგადი კომენტარი ნო. 31, პარ. 16, 18; 238/1987, ბოლანოსი ეკვადორის წინააღმდეგ (Bolaños v. Ecuador), პარ. 10; 962/2001, მულეზი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ (Mulezi v. Democratic Republic of the Congo), პარ. 7.

საშუალება იყოს ეფექტური.¹⁵¹ მე-5 პუნქტი არ მოითხოვს, რომ ერთი პროცედურა განისაზღვროს ყველა ფორმის უკანონო დაკავების შემთხვევაში კომპენსაციის გასაცემად; ის მოითხოვს, რომ პროცედურების ეფექტური სისტემა არსებობდეს, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპენსაციის მიღებას მე-5 პუნქტის მოქმედების სფეროში არსებულ ყველა შემთხვევაში. მე-5 პუნქტი არ ავალდებულებს სახელმწიფოებს საკუთარი ინიციატივით (*sua sponte*) აუნაზღაუროს მსხვერპლს ზიანი, არამედ აძლევს მათ საშუალებას, რომ კომპენსაციისთვის სამართალწარმოების დაწყება მსხვერპლის ინიციატივაზე დამოკიდებული იყოს.¹⁵²

51. მე-5 პუნქტის მიზნებისთვის უკანონო დაკავება ან დაპატიმრება მოიცავს ყველა შემთხვევას მიუხედავად იმისა, ისინი გამომდინარეობენ სისხლისსამართლებრივი თუ არასისხლისსამართლებრივი სამართალწარმოებიდან, თუ წარმოიშვნენ რაიმე სამართალწარმოების გარეშე.¹⁵³ დაკავების ან პატიმრობის “არაკანონიერი” ხასიათი შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც შიდა სამართლის, ისე თავად პაქტის დარღვევისგან, როგორცაა არსებითად თვითნებური დაპატიმრება ან დაპატიმრება, რაც არღვევს მე-9 მუხლის სხვა პუნქტების პროცესუალურ მოთხოვნებს.¹⁵⁴ თუმცა ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის დამნაშავე საბოლოოდ გამართლდა, პირველ ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოში, თავისთავად არ აქცევს წინასწარ პატიმრობას “უკანონოდ”.¹⁵⁵

52. მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ფინანსური კომპენსაცია კონკრეტულად იმ ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს უკავშირდება, რაც გამომდინარეობს უკანონო დაკავებიდან ან დაპატიმრებიდან.¹⁵⁶ როდესაც დაკავების უკანონობა განპირობებულია სხვა ადამიანის უფლებების დარღვევით, როგორცაა მაგალითად გამოხატვის თავისუფლება, წევრ სახელმწიფოს შეიძლება დამატებითი ვალდებულება ქონდეს

¹⁵¹ იხ. დასკვნითი შენიშვნები კამერუნი 2010, პარ. 19; გაიანა 2000, პარ. 15; ამერიკის შეერთებული შტატები 1995, პარ. 34; არგენტინა 1995 A/50/40 პარ. 153; შედარებისთვის იხ. 1885/2009, ჰორვატი ავსტრალიის წინააღმდეგ (*Horvath v. Australia*), პარ. 8.7 (განხილულია დაცვის მექანიზმის ეფექტურობა); 1432/2005, გუნარატნა შრი ლანკას წინააღმდეგ (*Gunaratna v. Sri Lanka*), პარ. 7.4; ზოგადი კომენტარი ნო. 32, პარ. 52 (არასწორი მსჯავრდების გამო კომპენსაციის მოთხოვნა).

¹⁵² 414/1990, მიკა მიჰა ეკვატორული გვინეის წინააღმდეგ (*Mika Miha v. Equatorial Guinea*), პარ. 6.5; 962/2001, მულეზი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ (*Mulezi v. Democratic Republic of the Congo*), პარ. 5.2.

¹⁵³ 754/1997, ა. ახალი ზელანდიის წინააღმდეგ (*A. v. New Zealand*), პარ. 6.7, 7.4; 188/1984, მარტინეზ პორტორეალი დომინიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ (*Martinez Portorreal v. Dominican Republic*), პარ. 11; 962/2001, მულეზი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ (*Mulezi v. Democratic Republic of the Congo*), პარ. 5.2.

¹⁵⁴ 1128/2002, მარკის დე მორაისი ანგოლას წინააღმდეგ (*Marques de Morais v. Angola*), პარ. 6.6; იხ. აგრეთვე 328/1988, ზელაია ბლანკო ნიკარაგუას წინააღმდეგ (*Zelaya Blanco v. Nicaragua*), პარ. 10.3 (თვითნებური პატიმრობა); 728/1996, საჰადეო გაიანას წინააღმდეგ (*Sahadeo v. Guyana*), პარ. 11 (მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა); R.2/9, სანტულო ვალკადა ურუგუაის წინააღმდეგ (*Santullo Valcada v. Uruguay*), პარ. 13 (მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა)

¹⁵⁵ 432/1990, ვ.ბ.ე. ნიდერლანდების წინააღმდეგ (*W.B.E. v. Netherlands*), პარ. 6.5; 963/2001, უებერგანგი ავსტრიის წინააღმდეგ (*Uebergang v. Austria*), პარ. 4.4.

¹⁵⁶ 1157/2003, ქოლმანი ავსტრალიის წინააღმდეგ (*Coleman v. Australia*), პარ. 6.3.

კომპენსაციით ან სხვა ტიპის რეპარაციით უზრუნველყოს პირი სხვა დარღვევებისთვისაც - ამას მოითხოვს პაქტის მე-3 პუნქტის მე-2 მუხლი.¹⁵⁷

VII. მე-9 მუხლი პაქტის სხვა მუხლებთან მიმართებით

53. მე-9 მუხლის პროცესუალური და მატერიალური გარანტიები ხან გადაფარავენ ხან კი დაკავშირებულნი არიან პაქტის სხვა გარანტიებთან. ქცევის ზოგიერთი ფორმა შეიძლება, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, როგორც მე-9 მუხლი, ისე სხვა მუხლის დარღვევას წარმოადგენდეს; მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულის სასამართლოში წარდგენის გაჭიანურებამ შეიძლება დაარღვიოს როგორც მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი, ასევე მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტი. ზოგჯერ სხვა მუხლების შინაარსი ნათელს ფენს მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შინაარსს; მაგალითად, დაპატიმრება შეიძლება იყოს თვითნებური იმ ფაქტის გამო, რომ ის წარმოადგენს სასჯელს გამოხატვის თავისუფლებისთვის, რითაც ირღვევა მე-19 მუხლი.¹⁵⁸

54. მე-9 მუხლი ასევე განამტკიცებს წევრის სახელმწიფოების პაქტით და ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებულ ვალდებულებას დაიცვან ინდივიდები კომიტეტთან თანამშრომლობის ან კომუნიკაციის გაგზავნის გამო შურისძიებისგან, როგორცაა ფიზიკური დაშინება ან თავისუფლების აღკვეთის მუქარა.¹⁵⁹

55. პაქტის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლება, სიცოცხლის დაცვის უფლების ჩათვლით მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შეიძლება გადაფარავდეს პირადი ხელშეუხებლობის უფლებას, რაც გათვალისწინებულია მე-9 მუხლის პირველი პუნქტით. პირადი ხელშეუხებლობის უფლება შეიძლება უფრო ფართო უფლებად ჩათვალოს იმის გათვალისწინებით, რომ ის შეიძლება მოიცავდეს იმ დაზიანებებსაც, რომელიც სიცოცხლისთვის საშიში არ არის. თვითნებური დაკავების უკიდურესი ფორმები, რომლებიც თავისთავად საფრთხის მომტანია, არღვევენ როგორც თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებას, ასევე სიცოცხლის დაცვის უფლებას, განსაკუთრებით იძულებითი გაუჩინარების შემთხვევებში.¹⁶⁰

56. თვითნებური დაკავება ქმნის წამებისა და არასათანადო მოპყრობის საფრთხეს და მე-9 მუხლის რამდენიმე გარანტია მიზნად ისახავს ამგვარი რისკების აღბათობის შემცირებას. ხანგრძლივი *incommunicado* პატიმრობა არღვევს მე-9 მუხლს და აგრეთვე ზოგადად ჩაითვლება მე-7

¹⁵⁷ იქვე, პარ. 9; 1128/2002, მარკის დე მორაისი ანგოლას წინააღმდეგ (Marques de Morais v. Angola), პარ. 8; ზოგადი კომენტარი ნო. 31, პარ. 16.

¹⁵⁸ იხ. აგრეთვე პარაგრაფი 17 ზემოთ.

¹⁵⁹ იხ. ზოგადი კომენტარი ნო. 33, პარ. 4; 241/1987 და 242/1987, ბირინდვა სი ბირაშვირვა და ტშისეკედი ვა მულუმბა ზაირის წინააღმდეგ (Birindwa ci Birhashwirwa and Tshisekedi wa Mulumba v. Zaire), პარ. 12.5; იხ. დასკვნითი შენიშვნები მალდივები, 2012, პარ. 26.

¹⁶⁰ 449/1991, მოჯიკა დომინიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ (Mojica v. Dominican Republic), პარ. 5.4; 1753/2008, გუზუ ალჟირის წინააღმდეგ (Guezout v. Algeria), პარ. 8.4, 8.7.

მუხლის დარღვევად.¹⁶¹ პირადი ხელშეუხებლობის უფლება იცავს ფიზიკური და სულიერი სიმრთელის ინტერესს, რაც აგრეთვე დაცულია მე-7 მუხლით.¹⁶²

57. როდესაც არსებითი საფუძველი არსებობს რწმენისთვის, რომ ინდივიდის კონკრეტულ ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში მას ემუქრება მისი თავისუფლების ან პირადი ხელშეუხებლობის შელახვის რეალური საფრთხე, როგორცაა ხანგრძლივი თვითნებური დაკავება, პირის დაბრუნება შესაბამის ქვეყანაში შეიძლება გაუტოლდეს არაადამიანურ მოპყრობას, რაც აკრძალულია პაქტის მე-7 მუხლით.¹⁶³

58. მთელი რიგი გარანტიები, რაც არსებითი მნიშვნელობისაა წამების აღსაკვეთად, ასევე აუცილებელია პატიმრობის ნებისმიერ ფორმის შემთხვევაში პირის დასაცავად თვითნებური პატიმრობისგან და პირადი ხელშეუხებლობის შელახვისგან.¹⁶⁴ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები არ არის ამომწურავი. პატიმრები უნდა მოთავსდნენ მხოლოდ ისეთ დაწესებულებებში, რომლებიც ოფიციალურად ცნობილია პატიმრობის დაწესებულებებად. ცენტრალიზებული ოფიციალური რეესტრი უნდა მოქმედებდეს პატიმრების სახელების და პატიმრობის ადგილის, დაწესებულებაში მიყვანისა და გაყვანის აღსარიცხად, აგრეთვე იმ პირების სახელების აღსარიცხად, ვინც პასუხიმგებელია დაპატიმრებაზე. ეს ინფორმაცია დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირებისთვის, მათ შორის ნათესავებისთვის.¹⁶⁵ სამედიცინო პერსონალს და იურისტებს სწრაფად და რეგულარულად უნდა შეეძლოთ პირთა დაკავშირება; იგივე უნდა შეეძლოთ ოჯახის წევრებსაც სათანადო ზედამხედველობის პირობებში, თუ დაპატიმრების ლეგიტიმური მიზანი ამას მოითხოვს.¹⁶⁶ დაპატიმრებულ პირებს დროულად უნდა ეუწყოთ მათი უფლებების შესახებ მათთვის გასაგებ ენაზე;¹⁶⁷ სათანადო ენაზე, მათ შორის ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი საინფორმაციო ლიფლეტები დაეხმარება დაპატიმრებულ პირებს, შეინახონ ეს ინფორმაცია. დაპატიმრებულ უცხოელებს უნდა ეუწყოთ უფლება დაუკავშირდნენ მათი ქვეყნის საკონსულო ორგანოებს, ან თავშესაფრის მამიებლების შემთხვევაში - გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარს.¹⁶⁸ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მექანიზმი უნდა შეიქმნას პატიმრობის ყველა ადგილის მონახულებისა და ინსპექტირებისთვის, ფსიქიკური ჯანმრთელობის ინსტიტუტების ჩათვლით.

¹⁶¹ 1782/2008, აბუფაიედი ლიბიის წინააღმდეგ (Aboufaied v. Libya), პარ. 7.4, 7.6; 440/1990, ელ-მეგრეისი ლიბიის არაბული სახელმწიფოს წინააღმდეგ (El-Megreisi v. Libyan Arab Jamahiriya), პარ. 5.4.

¹⁶² ზოგადი კომენტარი ნო. 20, პარ. 2.

¹⁶³ შედარებისთვის იხ. ზოგადი კომენტარი ნო. 31, პარ. 12.

¹⁶⁴ იხ. ზოგადი კომენტარი ნო. 20, პარ. 11; კომიტეტი წამების წინააღმდეგ, ზოგადი კომენტარი ნო. 2, პარ. 13.

¹⁶⁵ იხ. დასკვნითი შენიშვნები ალჟირი 2007, პარ. 11.

¹⁶⁶ იხ. პრინციპების ერთობლიობა (სქოლიო 102 ზემოთ), პრინციპები 17-19, 24; ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი ნო. 10, პარ. 87.

¹⁶⁷ იხ. პრინციპების ერთობლიობა (სქოლიო 102 ზემოთ), პრინციპები 13-14; გაეროს წესები თავისუფლებადკვეთილი არასრულწლოვნების დაცვისთვის, პარ. 24-25, მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 45/113 რეზოლუციით (დაპატიმრებული არასრულწლოვნებისთვის მათი უფლებების ახსნის შესახებ).

¹⁶⁸ იხ. პრინციპების ერთობლიობა (სქოლიო 102 ზემოთ), პრინციპი 16, პარაგრაფი 2.

59. პაქტის მე-10 მუხლი, რომელიც ეხება თავისუფლებადაცვეთილი პირების პატიმრობის პირობებს, ავსებს მე-9 მუხლს, რომელიც ძირითადად ეხება თავად დაპატიმრების ფაქტს. იმავდროულად, მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირადი ხელშეუხებლობის უფლება რელევანტურია როგორც დაპატიმრებული, ისე არა-დაპატიმრებული პირების მიმართ გამოვლენილი მოპყრობის მიმართ. პატიმრობის პირობების შესაფერისობა პატიმრობის მიზნის მიმართ ხანდახან ფაქტორს წარმოადგენს იმის განსაზღვრისას, არის თუ არა დაპატიმრება თვითნებური მე-9 მუხლის მიზნებისთვის.¹⁶⁹ პატიმრობის ცალკეულმა პირობებმა (როგორცაა ადვოკატთან და ოჯახის წევრებთან კონტაქტის შეზღუდვა) შეიძლება გამოიწვიოს მე-9 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების პროცესუალური დარღვევები. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის “ზ” ქვეპუნქტი განამტკიცებს მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნას არასრულწლოვნებთან დაკავშირებით, და ადგენს, რომ სწრაფად უნდა მოხდეს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების გასამართლება.

60. გადაადგილების თავისუფლება, რაც დაცულია პაქტის მე-12 მუხლით და პირის თავისუფლება, რაც დაცულია მე-9 მუხლით ავსებენ ერთმანეთს. პატიმრობა არის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის განსაკუთრებულად მკაცრი ფორმა, თუმცა ზოგ შემთხვევაში შეიძლება ორივე მუხლი მოქმედებდეს ერთდროულად.¹⁷⁰ მიგრანტების არანებაყოფლობითი ტრანსპორტირებისას პატიმრობა ხშირად გამოიყენება, როგორც გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის გზა. მე-9 მუხლი მიუთითებს პატიმრობის ამგვარ გამოყენებაზე გამკვების, დეპორტაციის ან ექსტრადიციის აღსრულების პროცესში.

61. პაქტის მე-9 და მე-14 მუხლების ურთიერთმიმართების მაგალითები სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესებთან დაკავშირებით უკვე იქნა მოყვანილი.¹⁷¹ მე-9 მუხლი ეხება თავისუფლების შეზღუდვას, რომელთა მხოლოდ ნაწილი უკავშირდება სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პროცესებს, რაც ხვდება პაქტის მე-14 მუხლის მოქმედების სფეროში. მე-9 მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების პროცესუალური მოთხოვნები გამოიყენება მე-14 მუხლის სფეროში მოქცეულ, სასამართლო პროცესებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რეალურად ხდება დაკავება ან დაპატიმრება.¹⁷²

62. პაქტის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ყველა ბავშვს ანიჭებს უფლებას “დაცვის ისეთ ღონისძიებაზე, რომელიც მას როგორც არასრულწლოვანს უნდა გაუწიოს ოჯახმა, საზოგადოებამ და სახელმწიფომ”. ეს მუხლი გულისხმობს სპეციალური ზომების მიღებას თითოეული ბავშვის პირადი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის დასაცავად, იმ ღონისძიებების გარდა, რასაც ზოგადად მოითხოვს მე-9 მუხლი ყველა პირისთვის.¹⁷³ ბავშვს შეიძლება შეეზღუდოს თავისუფლება მხოლოდ

¹⁶⁹ იხ. ზემოთ პარაგრაფები 14, 18 და 21.

¹⁷⁰ ზოგადი კომენტარი ნო. 27, პარ. 7; 1134/2002, გორჯი-დინკა კამერუნის წინააღმდეგ (Gorji-Dinka v. Cameroon), პარ. 5.4, 5.5 (შინაპატიმრობა); 138/1983, მპანდანჯილა და სხვები ზაირის წინააღმდეგ (Mpandanjila et al. v. Zaire), პარ. 8, 10.

¹⁷¹ იხ. ზემოთ პარაგრაფები 38, 53.

¹⁷² 263/1987, გონზალეს დელ რიო პერუს წინააღმდეგ (González del Río v. Peru), პარ. 5.1; 1758/2008, ჯესოპი ახალი ზელანდია (Jessop v. New Zealand), პარ. 7.9-7.10.

¹⁷³ იხ. ზოგადი კომენტარი ნო. 17, პარ. 1; ზოგადი კომენტარი ნო. 32, პარ. 42-44.

უკიდურეს შემთხვევაში და რაც შემოიძლება მოკლედ ვადით.¹⁷⁴ სხვა მოთხოვნებთან ერთად, რაც ვრცელდება თავისუფლების შეზღუდვის თითოეულ კატეგორიაზე, ბავშვის საუკეთესო ინტერესები პირველ რიგში უნდა იქნეს გათვალისწინებული ყველა გადაწყვეტილების მიღებისას, რაც უკავშირდება პატიმრობის დაწყებას ან გაგრძელებას.¹⁷⁵ კომიტეტი აღიარებს, რომ ზოგჯერ კონკრეტული თავისუფლების შეზღუდვა თავად შეიძლება წარმოადგენდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას. ბავშვის ინსტიტუციონალიზაცია მასზე მზრუნველობისთვის წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვას მე-9 მუხლის მიზნებისთვის.¹⁷⁶ გადაწყვეტილება ბავშვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ უნდა ექვემდებარებოდეს პერიოდულ კონტროლს მისი გაგრძელების საჭიროებისა და მართებულობის გადასამოწმებლად.¹⁷⁷ ბავშვს აქვს უფლება მოუსმინონ, უშუალოდ ან სამართლებრივი ან სხვა სათანადო დახმარების გამოყენებით, ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებისას რაც უკავშირდება თავისუფლების შეზღუდვას და გამოყენებული პროცედურები ბავშვის ასაკს უნდა შეესაბამებოდეს.¹⁷⁸ უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლების უფლების რეალიზების შემდეგ ბავშვი შეიძლება დაბრუნდეს ოჯახში ან მოთავსდეს ალტერნატიული მზრუნველობის ქვეშ, რაც უკეთ ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, იმის ნაცვლად, რომ ბავშვი თავის თავის იმედად დატოვონ გათავისუფლების შემდეგ.¹⁷⁹

63. პაქტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, წევრ სახელმწიფოებს ევალებათ დაიცვან და უზრუნველყონ მე-9 მუხლით გათვალისწინებული უფლებებით ყველა პირი, ვინც იმყოფება მათ ტერიტორიაზე და მათი იურისდიქციის ფარგლებში.¹⁸⁰ იმის გათვალისწინებით, რომ დაკავება და პატიმრობა აქცევს პირს

¹⁷⁴ იხ. დასკვნითი შენიშვნები ჩეხეთის რესპუბლიკა 2013, პარ. 17; კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლი 37(ბ).

¹⁷⁵ კომუნიკაცია ნო. 1069/2002, ბახტიარი ავსტრალიის წინააღმდეგ (Bakhtiyari v. Australia), პარ. 9.7; იხ. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლი 3(1).

¹⁷⁶ იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი ნო. 10, პარ. 11; გაეროს წესები თავისუფლებადალკვეთილი ბავშვების დაცვისთვის (1990), პარ. 11(ბ). ამისგან განსხვავებით, ბავშვების მიმართ შშობლების ან ოჯახის ჩვეულებრივი მეთვალყურეობა შეიძლება გულისხმობდეს გარკვეულ კონტროლს გადაადგილების თავისუფლებაზე, განსაკუთრებით მცირეწლოვანი ბავშვების შემთხვევაში, რაც არამართებული იქნებოდა ზრდასრულების მიმართ, მაგრამ ის არ წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვას; არც ყოველდღიურად სკოლაში სიარულის ჩვეულებრივი მოთხოვნა წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვას.

¹⁷⁷ იხ. ზემოთ პარაგრაფი 12; კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლები 37(დ), 25.

¹⁷⁸ იხ. ზოგადი კომენტარი ნო. 32, პარ. 42-44, ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი ნო. 12, პარ. 32-37.

¹⁷⁹ შეადარეთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის პატიმრობის სახელმძღვანელო რეკომენდაციებს (სქოლიო 45 ზემოთ), პარ. 54 (“როდესაც ეს შესაძლებელია [თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვნები ან ოჯახს მოწყვეტილი ბავშვები] უნდა გადასცენ მათი ოჯახის წევრების მზრუნველობაში, რომლებიც უკვე ბინადრობენ თავშესაფრის ქვეყანაში. როდესაც ეს არ არის შესაძლებელი, ზრუნვის ალტერნატივები, როგორცაა, მაგალითად, მინდობით აღზრდა ან საცხოვრებელი სახლები, უნდა მოძებნონ ბავშვზე ზრუნვის კომპეტენტურმა ორგანოებმა, და უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვი მიიღებს სათანადო მზრუნველობას”).

¹⁸⁰ ზოგადი კომენტარი ნო. 31, პარ. 10

სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ, წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა დააკავონ ან დააპატიმრონ ინდივიდები თვითნებურად ან უკანონოდ მათი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.¹⁸¹ სხვათა შორის, მათი ტერიტორიის გარეთ მოქმედებისას, წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა დატოვონ პირები გაჭიანურებულ *incommunicado* პატიმრობაში, ან არ უნდა წაართვან მათ მათი პატიმრობის კანონიერების კონტროლის საშუალება.¹⁸² დაკავების ექსტრატერიტორიულად განხორციელება შეიძლება წარმოადგენდეს გასათვალისწინებელ გარემოებას მე-3 პუნქტის ფარგლებში “დაუყოვნებლობის” შეფასებისას.

64. რაც შეეხება პაქტის მე-4 მუხლს, კომიტეტი პირველ რიგში აღნიშნავს რომ, პაქტის დანარჩენი ნაწილის მსგავსად, მე-9 მუხლი აგრეთვე მოქმედებს შეიარაღებული კონფლიქტების დროს, რომლებზეც ვრცელდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესები.¹⁸³ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესები შეიძლება რელევანტური იყოს მე-9 მუხლის განმარტების მიზნებისთვის; ამავდროულად სამართლის ეს ორი სფერო ერთმანეთს ავსებს, არ გამოირჩევა.¹⁸⁴ დაპატიმრება უსაფრთხოების მიზნებისთვის რაც დაშვებულია და რეგულირდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, პრინციპულად თვითნებობას არ წარმოადგენს. კონფლიქტური სიტუაციების დროს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან წვდომის უზრუნველყოფა პატიმრობის ყველა ადგილას წარმოადგენს არსებით, დამატებით გარანტიას პირების თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების დასაცავად.

65. მე-9 მუხლი არ შედის პაქტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეუზღუდავი უფლებების სიაში, მაგრამ წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილება უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით ზღვარდებულია. წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ზღუდავენ მე-9 მუხლით გათვალისწინებულ ნორმალურ პროცედურებს შეიარაღებული კონფლიქტების ან სხვა საჯარო საგანგებო მდგომარეობის პირობებში, უნდა უზრუნველყოფდნენ, რომ შეზღუდვა ზედმიწევნით შეესაბამება იმას, რასაც მოითხოვს რეალურად არსებული მდგომარეობის სიმძაფრე.¹⁸⁵ შეზღუდვის ღონისძიებები აგრეთვე უნდა შეესაბამებოდეს წევრი სახელმწიფოების სხვა საერთაშორისო სამართლებრივ მოვალეობებს, მათ შორის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დებულებებს თავისუფლების შეზღუდვასთან და დისკრიმინაციის

¹⁸¹ იხ. იქვე; 12/52, სალდიაზ დე ლოპეზი ურუგვაის წინააღმდეგ (*Saldías de López v. Uruguay*), პარ. 12.1-13; R.13/56, კელიბერტი დე კასარიეგო ურუგვაის წინააღმდეგ (*Celiberti de Casariego v. Uruguay*), პარ. 10.1-11; 623/1995 და სხვები., დომუხოვსკი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (*Domukovsky et al. v. Georgia*), პარ. 18.2.

¹⁸² იხ. დასკვნითი შენიშვნები, ამერიკის შეერთებული შტატების 2006, პარ. 12, 28.

¹⁸³ ზოგადი კომენტარი ნო. 31, პარ. 11; ზოგადი კომენტარი ნო. 29, პარ. 3.

¹⁸⁴ ზოგადი კომენტარი ნო. 31, პარ.11, ზოგადი კომენტარი ნო. 29, პარ. 3,12, 16.

¹⁸⁵ ზოგადი კომენტარი ნო. 29, პარ. 4-5. როდესაც საგანგებო მდგომარეობით გამოწვეული და გამართლებული უფლებების შეზღუდვის ზომები დაკავშირებულია წევრი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობასთან მშვიდობისდამცავ მისიაში საზღვარგარეთ, შეზღუდვის ღონისძიებების გეოგრაფიული და სამართლებრივი მოქმედების სფერო მშვიდობისდამცავი მისიის საჭიროებებით უნდა შემოიფარგლოს.

აკრძალვასთან დაკავშირებით.¹⁸⁶ ამდენად მძევლად აყვანის, მოტაცების და ფარული დაპატიმრების აკრძალვა არ ექვემდებარება შეზღუდვას.¹⁸⁷

66. კომიტეტი მიიჩნევს, რომ მე-9 მუხლში არის სხვა ელემენტებიც რომლებიც არ შეიძლება კანონიერად შეიზღუდოს მე-4 მუხლის თანახმად. ძირითადი გარანტია თვითნებური პატიმრობის წინააღმდეგ არა-შეზღუდვადია, რამდენადაც მე-4 მუხლით გათვალისწინებული სიტუაციები ვერ გაამართლებს იმგვარ თავისუფლების შეზღუდვას, რომელიც არაგონივრულია და არ არის აუცილებელი არსებული სიტუაციაში.¹⁸⁸ თუმცადა, საჯარო საგანგებო მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის არსებობას და მისი ხასიათი შეიძლება რელევანტური იყოს იმის შეფასებისას, კონკრეტული დაკავება ან დაპატიმრება იყო თუ არა თვითნებური. საკითხი, სამართლებრივად რამდენად მართებულად მოხდა სხვა არა-აბსოლუტური უფლებების შეზღუდვა, შეიძლება აგრეთვე რელევანტური იყოს, როდესაც თავისუფლების შეზღუდვა თვითნებურად ითვლება იმის გამო, რომ პაქტით გათვალისწინებულ სხვა უფლებაში ჩარევას წარმოადგენს. საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მატერიალური და პროცესუალური წესები აგრძელებენ მოქმედებას და უფლებების შეზღუდვაზე კონტროლის საშუალებას იძლევიან, რითაც ხელს უწყობენ თვითნებური პატიმრობის რისკის შემცირებას.¹⁸⁹ თუ ეს კონტექსტი არ არის სახეზე, მკაცრი აუცილებლობის და თანაზომიერების მოთხოვნები ბოჭავს შეზღუდვის ღონისძიებებს, რომელიც უკავშირდება უსაფრთხოების გამო დაპატიმრებას; ამგვარი პატიმრობის ხანგრძლივობა შეზღუდული უნდა იყოს და უნდა ხორციელდებოდეს იმ პროცედურების მეშვეობით, რომლებიც აღკვეთენ ამგვარი პატიმრობის თვითნებურ გამოყენებას, რაც ზემოთ მე-15 პარაგრაფშია აღწერილი.¹⁹⁰ ამ პროცედურებში მოიაზრება სასამართლოს მიერ კონტროლიც იმ გაგებით, როგორც ეს ზემოთ, 45-ე პარაგრაფშია მოცემული.¹⁹¹

67. პირის თავისუფლების დაცვის პროცესუალური გარანტიები არასდროს შეიძლება გახდეს იმგვარი შეზღუდვის საგანი, რაც საშუალებას შექმნის, რომ სახელმწიფომ გვერდი აუაროს არა-შეზღუდვადი უფლებების დაცვას.¹⁹² იმისთვის რომ არა-შეზღუდვადი უფლებები, მათ შორის მე-6 და მე-7 მუხლები, დაცული იყოს, სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, დაპატიმრების კანონიერებასთან დაკავშირებით დაყოვნების გარეშე გადაწყვეტილების მისაღებად,¹⁹³ არ შეიძლება დაკნინდეს შეზღუდვის ღონისძიებებით.

68. მართალია მე-9 მუხლის ზოგიერთი დებულების მიმართ დათქმის გაკეთება შეიძლება დასაშვები იყოს, პაქტის საგანთან და მიზანთან შეუთავსებელი იქნება სახელმწიფოს მიერ ისეთი დათქმის გაკეთება,

¹⁸⁶ ზოგადი კომენტარი ნო. 29, პარ. 8, 9.

¹⁸⁷ იქვე პარ. 13(ბ).

¹⁸⁸ იქვე პარ. 4 და 11.

¹⁸⁹ იხ. იქვე, პარ. 3.

¹⁹⁰ იხ. იქვე, პარ. 4, 11, 15.

¹⁹¹ იხ. იქვე, პარ. 16, პარაგრაფი 76 ქვემოთ.

¹⁹² იხ. ზოგადი კომენტარი ნო. 32, პარ. 6.

¹⁹³ ზოგადი კომენტარი ნო. 29, პარ. 16.

რომლითაც სახელმწიფო დაიტოვებს თვითნებური დაკავებისა და დაპატიმრების განხორციელების უფლებას.¹⁹⁴



ზოგადი კომენტარი ითარგმნა სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით.

¹⁹⁴ ზოგადი კომენტარი ნო. 24, პარ. 8.